საქართველოს
პარლამენტი
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 141 (943) პარასკევი, 12 აგვისტო, 1994 წელი [illegible]

ედუარდ შევარდნაძე ვასილ იაკუშევს შეხვდა

როგორც ცნობილია, 10 აგვისტოს ზუგდიდში საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე და პარლამენტის წევრი ჯაბა იოსელიანი შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ გიორგი კონდრატიევს, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს ვლადიმერ ჟურბენკოსა და აფხაზეთში სამშვიდობო მისიის სარდალს ვასილ იაკუშევს.

11 აგვისტოს ვასილ იაკუშევი თბილისს ეწვია, სადაც იგი მიიღო პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. შეხვედრას ესწრებოდა თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

საუბარი შეეხო სამშვიდობო მისიის მიმდინარეობას. ორივე მხარე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სირთულეების მიუხედავად, რომლებიც მოსამზადებელი ეტაპის მსვლელობას ახლავს, ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაწყება.

სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა სამშვიდობო ოპერაციის მესვეურთა მიერ გაწეული დიდი სამუშაო და განაცხადა, რომ ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის დაწყება უახლოესი დღეების საქმეა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი — საქინფორმი.

შეხვედრა ზუგდიდში

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის მონაცემებით, 11 აგვისტოს ზუგდიდში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი საქართველოში ტასლიმურ რახმანი. მათთან ერთად ზუგდიდს ეწვივნენ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე — ვალერი ვაშაკიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია და სხვა ოფიციალური პირები.

მათი მონაწილეობით ზუგდიდის რაიონის გამგეობის შენობაში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, აფხაზეთის ზოგიერთი რაიონის, ზუგდიდის რაიონის გამგებლები.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიღებული ანკეტების ლტოლვილთა მიერ შევსებაზე და მათ დროულად გადაცემაზე გაეროს წარმომადგენლებისათვის. აღინიშნა, რომ არ არის გამოგზავნილი საჭირო რაოდენობით ანკეტები, ამასთან, მიუღებელია აფხაზური მხარის მიერ შემოთავაზებული სოფლების რაოდენობა. ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ უსაფრთხოების ზონაში შემავალ ყველა სოფელში.

თამაზ როგავა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან რეპატრიაციის სამსახურის შექმნის შესახებ

საქართველოდან დეპორტირებულ პირთა განსაზღვრული კონტინგენტის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისა და ამ საკითხების შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 მარტის 71 განკარგულების რეალიზაციის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან რეპატრიაციის სამსახური, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 13 ივლისის 566 განკარგულებით გათვალისწინებული საშტატო განრიგისა და გამოყოფილ ასიგნებათა ხარჯზე.
2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა რეპატრიაციის სამსახურმა ორი კვირის ვადაში წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ამ სამსახურის დებულება.
3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობამ განიხილოს რეპატრიაციის სამსახურისათვის სათანადო სამუშაო ფართის გამოყოფის საკითხი.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 13 ივლისის 566 განკარგულება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
გ. ს. მამულიას შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:
დამტკიცდეს გურამ სამსონის ძე მამულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული რეპატრიაციის სამსახურის უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს განცხადება

უკანასკნელ ხანს იმატა გერმანიაში უკან დასაბრუნებელი ბილეთის და ფინანსური საშუალებების გარეშე, თითქოს სამუშაოდ ჩამოსულ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვმა. ქართულ პრესაში ქვეყნდება განცხადებები გერმანიაში სამუშაოდ წასასვლელად, რაც სინამდვილეში ხშირად არარეალურია.

გერმანიაში მუშაობის უფლების მოპოვება უცხოელთათვის საკმაოდ რთული პროცედურაა და უნდა იყოს იურიდიულად გაფორმებული. შესაბამისი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოში თბილისში.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო თავს ვალდებულად თვლის, გააფრთხილოს საქართველოს მოქალაქენი — ნუ წამოეგებიან ყალბისმთქმელთა ანკესზე, ნუ ჩაიგდებენ თავს მძიმე მდგომარეობაში და იურიდიულად გამართული გერმანული ხელშეკრულების, უკან დასაბრუნებელი ბილეთის და ფინანსური სახსრების გარეშე ნუ ჩამოვლენ გერმანიაში.

გერმანიაში შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ჩამოსვლა გატოლებულია ქვეყანაში არალეგალურად ყოფნასთან და მკაცრად ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

ბონი, 1994 წლის აგვისტო.

საქართველოს პროფკავშირები ფასიანი მომსახურების წინააღმდეგია

ქ. თბილისის მერიამ 1994 წლის 4 ივლისს დაამტკიცა ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამკურნალო და ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ფასიანი ფორმებისა და ტარიფების ნუსხა. ამ ნუსხის მიხედვით პოლიკლინიკიდან გაცემული ცნობა ფასიანი გახდა. ასე, მაგალითად, ცნობა საგზურის მიღებისათვის და ცნობა გარდაცვალებაზე გაიცემა ერთი მინიმალური ხელფასის ოდენობის გადახდის შემდეგ, სანატორიულ-საკურორტო რუკა და ამონაწერი ამბულატორიული რუკიდან — სამი მინიმალური ხელფასის გადახდის შემდეგ. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ ამ ნუსხის მიხედვით ბლანკები დროებით შრომისუუნარობაზე — (ბიულეტენები) და რეცეპტის ბლანკებიც კი ფასიანია.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების გამგეობამ იმსჯელა ზემოაღნიშნულზე და მიაჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის ეს ქმედება უპრეცედენტოა და ეკონომიკურად ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე პრობლემების მოგვარების კიდევ ერთი ცდაა.

კატეგორიულად მოვითხოვთ გაუქმდეს თბილისის მერიის მიერ დამტკიცებული ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამკურნალო და ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ფასიანი ფორმებისა და ტარიფების ნუსხა, როგორც მოსახლეობის საზიანო დოკუმენტი.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების პროფცენტრი.

დედაქალაქის ხვალინდელი დღე

თბილისი — ჩვენი დედაქალაქი — რესპუბლიკის მაჯისცემის უტყუარი ბარომეტრი, ყოველთვის იყო ქვეყნის სახე და იმედი.

საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლის პროცესმა დღის წესრიგში დააყენა დედაქალაქის სოციალური პრობლემების, მძიმე ეკონომიკური ინფრასტრუქტურის და მეწარმეობის განვითარების მიზნით თბილისის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის და მისი ავტონომიური ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზების ძიების აუცილებლობა. ამასთან დაკავშირებით თბილისის მერიამ გადადგა გაბედული ნაბიჯები: დამუშავდა და დაინერგა ქალაქის მერიის მმართველობითი სტრუქტურის შედარებით მოქნილი სქემა, გაუქმდა ზოგიერთი ფუნქციონალური სამსახური, შეიქმნა ახალი რგოლები, რომლებმაც გარკვეულად ამუშავეს ქალაქის ეკონომიკა, გამოაცოცხლეს კულტურული ცხოვრება.

11 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა მთელი რიგი საწარმოს ობიექტები. მას ახლდნენ ვიცე-პრემიერები, ქალაქ თბილისის მერი, სხვადასხვა უწყებისა და სამსახურის ხელმძღვანელები.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთში" მან დაათვალიერა სამკერვალო და საჭრელი საამქროები, გაეცნო ექსპერიმენტული მოდელების დამზადების საამქროს მუშაობას. სამი წელიწადია, რაც ფაბრიკის კოლექტივს ხელშეკრულება აქვს დადებული თურქეთის ფირმა „გრაციასთან". როგორც ფირმის ექსპერტმა ჰაიდარ ბაშდარმა აღნიშნა, ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმი წუნდაუდებელია და არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროდუქციის თურქეთში გაგზავნა მკაცრად განსაზღვრულ ვადებში სრულდება. ამიტომაც უცხოელ პარტნიორებს მხოლოდ „კოლხეთთან" სურთ თანამშრომლობა. ფაბრიკამ ასევე ურთიერთსასარგებლო კონტრაქტები დაამყარა თურქეთის სხვა კომპანიებთანაც.

რაც შეეხება კოლექტივის წევრებს, ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ ფაბრიკის ხელმძღვანელობისადმი, რადგან ხელფასისა და დივიდენდების გარდა, რაც ყოველთვიურად 8 მილიონამდე კუპონს შეადგენს, უფასოდ იძლევათ კვების პროდუქტები.

შემდეგ ბატონი ედუარდ შევარდნაძე ესტუმრა ყაზბეგის გამზირზე მდებარე პურის საცხობს — „ევროფუდს". იტალიელ პარტნიორებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სულ მალე ამ საწარმოში ჩამოვლენ უცხოელი სპეციალისტები და ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას. სექტემბერში მაღაზია დაიწყებს ფუნქციონირებას.

საინტერესოდ წარიმართა ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა თბილისის მუნიციპალურ საწარმო „თბილწყალკანალის" კოლექტივთან.

„თბილწყალკანალი", სასმელსა და ტექნიკურ წყალს აწოდებს დედაქალაქს და ჟინვალსა და რუსთავს შორის მდებარე ყველა დასახლებულ პუნქტს. დახარჯული წყლის უდიდესი ნაწილი, თითქმის 80 პროცენტი, თბილისელებზე მოდის. ჟინვალის წყალსაცავის ექსპლოატაციაში შესვლამ ერთგვარად მოხსნა დედაქალაქის წყლით მომარაგების პრობლემა, იგი სტაბილურიც კი გახდა. მაგრამ პრობლემები წყლით მომარაგებაში მაინც არის. ადგილმდებარეობის რთული რელიეფის გამო ქალაქის წყალსადენი თავისი 50-მდე მძლავრი სატუმბი სადგურით ერთ-ერთი ურთულესი სისტემაა, ამანაც განაპირობა ის, რომ იგი მძლავრი ენერგიის მომხმარებელია. თუ არ იქნება ნორმალური და სტაბილური ელექტრომომარაგება, ძნელი იქნება ლაპარაკი თბილისისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, საწარმოსათვის ელექტროენერგიის პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა — გამოინახა შიდა რეზერვები, რამაც საშუალება მისცა 70 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაეზოგათ, მაგრამ ამის მიუხედავად საწარმოს დღეისათვის საქენერგოს ვალი 400 მილიარდი კუპონი აქვს.

სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა საწარმოს მუშაკთა მიერ გაწეული მუშაობა. გეგმები საინტერესოა, — თქვა მან, — რეზერვები უზარმაზარი, მაგრამ მოუგვარებელია დარგის საფინანსო-ეკონომიკური მხარე. წყალი თვითღირებულებაზე იაფად არ უნდა გაიყიდოს, ალბათ, ჯობს მოსახლეობას კომპენსაცია მივცეთ. უდავოდ მოსაგვარებელია წყლის ხარჯვის აღრიცხვა.

სახელმწიფოს მეთაური ეწვია თბილისის ბიზნეს-ცენტრს, რომელმაც, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, უკვე შეიძინა ამგვარი თანამედროვე დაწესებულების ძირითადი კომპონენტები, მუშაკთა გარეგნობით დაწყებული და მთავარი ოფისისა და მაღაზიების ინტერიერების გაფორმებით დამთავრებული. ბიზნეს-ცენტრში სახელმწიფოს მეთაური გაეცნო ახალგაზრდა ბიზნესმენთა თანამეგობრობის დიდი ძალისხმევის შედეგებს, ახალი იდეების რეალიზაციის პერსპექტივებს.

ედუარდ შევარდნაძე იყო აგრეთვე ბიზნეს-ცენტრის მაღაზიებში — „ალბატროსსა" და „ბაბილონში", ესაუბრა მათ მუშაკებს, დაინტერესდა მათი შრომის ანაზღაურებით. აღმოჩნდა, რომ ხელფასი აქ სავსებით დამაკმაყოფილებელია.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური ეწვია უნივერმაღ „თბილისს", ესაუბრა მის მუშაკებსა და მყიდველებს.

დღის მეორე ნახევარში ქალაქის მერიაში გაიმართა მუნიციპალური კაბინეტის სხდომა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

სხდომის ვრცელ ანგარიშს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ქართული ოპოზიცია:
ძალა და უძლურება

არსად და არასოდეს არ წყალობდა ბედი ოპოზიციას. განა ისტორიული უსამართლობა არ არის, რომ უძველეს პროფესიათა ნუსხაში ოპოზიციონერობისთვისაც არ მოიძებნა ადგილი?

არადა, კაცობრიობის გენეზისის ყოველ ეტაპზე არსებობდა ოპოზიცია. ხელისუფლება და ოპოზიცია სიამის ტყუპებივით ერთ დღეს დაიბადნენ და გვერდი-გვერდ არსებობენ. რაც უფრო ცივილიზებულ ხასიათს ღებულობდა ხელისუფლება, მით უფრო ცივილიზებული ხდებოდა ოპოზიციაც. ეს ზოგადი ჭეშმარიტებაა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე თან სდევდა „ლირიული გადახვევები". უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, როდესაც ტოტალიტარულ რეჟიმს ცივილიზებული, სამოქალაქო — დემოკრატიული ოპოზიცია ჰყავდა და პირიქით. ასეა დღესაც — საპარლამენტო და „ქუჩის" ოპოზიცია, „შეურიგებელი" და კომპრომისებზე მზადმყოფი ოპოზიცია. ფართო გაგებით იგივე დიდ ბრიტანეთში, დღეს ლეიბორისტებიც ოპოზიციონერები არიან და ირლანდიელი ტერორისტებიც. ასე რომ, ოპოზიციის ანატომია პირდაპირ კავშირში არ არის ხელისუფლების არსთან.

რაც შეეხება ჩვენს სინამდვილეს, კომუნისტურ რეჟიმზე რომ აღარაფერი ვთქვა, პირველსავე თავისუფალ არჩევნებში გამარჯვებულ ხელისუფლებას ერთი დღეც არ უარსებია უოპოზიციოდ. ამავე დროს გამსახურდიას რეჟიმმა მოახერხა ის, რაც იშვიათად გვხვდება მსოფლიო პოლიტიკური ბრძოლის ქრონიკებში — პარლამენტში თავის მრავალწლიანი მომხრე-მეგობართანამებრძოლთაგან შეიქმნა ოპოზიციის ბირთვი. თუმცა პარლამენტის მიღმა მყოფი რადიკალური ოპოზიცია (სადაც თანმიმდევრული პრინციპულობით ეროვნულ-დემოკრატები გამოირჩეოდნენ) არ გაერთიანდა საპარლამენტო ოპოზიციასთან, მაგრამ საერთო მოწინააღმდეგეს მეთოდურად და საფუძვლიანად ასუსტებდნენ.

დღევანდელი სიტუაციის თავისებურება ისიც არის, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, მზადაა გარკვეული პირობებით გაერთიანდეს „ქუჩის" ოპოზიციასთან. მდგომარეობას ის პიკანტური ნიუანსი ართულებს, რომ მოზაიკაა ძალზე ჭრელი: ყოფილი ხელისუფლების ყოფილი მომხრეები და აქტიური წევრები, ყოფილი ხელისუფლების ყოფილი და დღევანდელი მოწინააღმდეგენი, ყოფილი ხელისუფლების იმდროინდელ-ამდროინდელი მომხრეები და „მარად მერყევნი" თუ ეს ძალები მართლაც მოახერხებენ გაერთიანებას (არა მხოლოდ სამიტინგო დონეზე), მათ რეალურ ძალად ქცევის შანსი გაუჩნდებათ.

მეორე და მთავარი მომენტია, რომ არც პოლიტიკაში შეიძლება შეუთავსებელთა შეთავსება; ერთი ტრანსპარანტი, რა ზომისაც არ უნდა იყოს, ვერ დაიტევს ისეთ ლოზუნგებს, როგორიცაა ყოფილი ხელისუფლების აღდგენა და დღევანდელის დამხობა. თუ დამხობაში ყველა ერთსულოვანია, აი, „აღდგენა-დაბრუნების" საკითხში, რბილად რომ ვთქვა, კონსენსუსი ძნელი მისაღწევია.

...ამ დღეებში პრესაში ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მორიგი ყრილობის განცხადება გამოქვეყნდა. თუ გაზეთში მოყვანილ ანოტაციას ვენდობით, დოკუმენტში ახალი არაფერია — ე. შევარდნაძე სახელმწიფო დამნაშავეა და უნდა გადადგეს. მისასალმებელია, რომ განცხადების ავტორებს კარგად ესმით რეალური ვითარება და ხალხს არ უმალავენ ე. შევარდნაძის იძულებითი გადადგომის მოსალოდნელ შედეგებს — „ქვეყნის შემდგომი დაშლა-განადგურება და დასუსტება", „...ანარქია, შეტაკებები, უხელისუფლებობა". ასეთი პერსპექტივის კონსტატაციის შემდეგ გაოცებას იწვევს მტკიცება, რომ „ყოველივე ამის მიუხედავად, ფაქტად რჩება. რომ შევარდნაძის ხელისუფლებაში დატოვება შეუძლებელია".

საქვეყნო ფიქრი

თქვე დალოცვილებო, შეიძლება მართლაც არ ვეთანხმებოდეთ ყველაფერში ე. შევარდნაძეს, ოპოზიცია რისი ოპოზიციაა თუ პრეტენზიები არ ექნება ხელისუფლებასთან, მაგრამ „ანარქიაში, ახალ შეტაკებებსა და სისხლისღვრაში, უხელისუფლებობაში". „ქვეყნის შემდგომ დაშლა-განადგურებაში" გავცვალოთ იგი? ამ ლოგიკით აპირებს ბრძოლას ჩვენი რადიკალური ოპოზიცია? ან ეს რა ლოგიკაა — სახელმწიფოს მეთაური ახლავე გადავაყენოთ და თან „მოჯადოებული წრიდან" გამოსავალი ვეძებოთ? ჯერ ხალხს ამ წრიდან გამოსვლის თქვენი კონკრეტული გეგმა შესთავაზეთ და, თუ დაგიჯერეთ, მერე თავისთავად დადგება არა ერთი კაცის, მთელი მთავრობის შეცვლა დღის წესრიგში.

ნაპოლეონს პრინციპად ჰქონდა — „მთავარია ბრძოლაში ჩაება, დანარჩენი მერე გამოჩნდებაო". გენიოსს შეეძლო ასე ემოქმედა, მაგრამ გენიოსებს რაღაც ვერ ვხედავ დღევანდელ [illegible]

რეალურმა მიზეზმა დაამკვიდრა ჩვენში მცდარი აზრი, რომ ოპოზიციის ძლიერების ეტალონი მისი დესტრუქციული ქმედების პოტენციალია; თუ შეძლებს ოპოზიცია, ვთქვათ ბარიკადები აღმართოს ქალაქში, როგორც ამას წერეთელი გვპირდება, ეს მისი ძალის დემონსტრაცია იქნება და ა. შ. სინამდვილეში კი ეს ოპოზიციის სისუსტის მაჩვენებელია. პოლიტიკური პარტია, ცივილიზებული ოპოზიცია, იმით განსხვავდება ტერორისტული და პარტიზანული რაზმებისაგან, რომ მისი ძალა და უძლურება მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების შედეგებში ჩანს. თუ ოპოზიცია მართლაც დარწმუნებულია, რომ მის მხარეზეა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (როგორც თვითონ აცხადებს), მისთვის ე. შევარდნაძის გადაყენებისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის ყველაზე მოკლე და რეალური გზა ვადამდელი არჩევნებია. რატომ არის, რომ მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს აქვთ არჩევნების იმედი, „შეურიგებლები" კი მიტინგზეც არ მოითხოვენ არჩევნების დანიშვნას?

მოქმედი კანონმდებლობისადმი დემონსტრაციული დაუმორჩილებლობითა და ბარიკადების ლოზუნგით ოპოზიცია თვითონ იყენებს თავს კანონგარეშე მდგომარეობაში, მაგრამ ჩვენი ბარიკადების მოტრფიალენი არც ისეთი რომანტიკოსები არიან, როგორც კეკლუცობენ; მათ მშვენივრად იციან, რომ იმ სიტუაციაში, დღეს რომ რესპუბლიკაშია გამეფებული, მათ ბუზსაც არ აუფრენენ თავზე. აბა, ე. შევარდნაძის საქართველოში კი არა, ტეტჩერის ინგლისში ეცხოვრა წერეთელს, გაუვიდოდა შიმშილობა? ამიტომ ეს ფრონდაა და მეტი არაფერი.

მეორეს მხრივ ბარიკადები (გინდ თეატრალიზებული) მაინც დესტაბილიზაცია, ქაოსია, კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებაა. გულახდილად რომ ვთქვათ, დიდი ვერაფერი დააკლო თავის დროზე ნაგვით რუსთაველის გადაკეტვამ გამსახურდიას, მაგრამ უბრალო ხალხს კი დამატებითი სირთულეები შეუქმნა. ასე იქნება ახლაც. არ ურჩევნია ოპოზიციას ელექტორატის მხარდაჭერისთვის გააძლიეროს პოლიტიკური ბრძოლა? პრესის მხრიდან უყურადღებობას ის ნამდვილად არ გრძნობს, როგორც ჩანს, მალე საეთერო დროსაც მიიღებს სამთავრობო ტელევიზიით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი სამთავრობო ტელევიზია (რა იმპორტული სახელწოდებაც არ უნდა მოუგონოს მას მისმა ხელმძღვანელობამ, იგი მაინც მთავრობის საკუთრებად დარჩება მანამ, სანამ ბიუჯეტს აწევს კისერზე და შენობა-აპარატურაც მთავრობის საკუთრებაა), არც მზადაა საინფორმაციო ბრძოლისთვის და არც ამის სურვილი აქვს, ოპოზიციას ცალ კარში თამაშის კარგი პერსპექტივა ელის. თუ რამე „უკადრისი" კადრს ეთერიდან ანაზღეულად, ნურც ამისი შეშინდებათ — „ალიონსაც" მოუვიდა ერთი „იალღში" ოპოზიციური გაზეთის მისამართით, მაგრამ ოპერატიულად გამოასწორა „შეცდომა" და გაზეთის საჯარო ქებაც დაიმსახურა.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მოთხოვნას, ერთი შეხედვით არაფერია ამაში უჩვეულო; მსოფლიო ისტორიამ სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურთა გადადგომის უამრავი მაგალითი იცის, მაგრამ ბოლომდე ვთქვათ სიმართლე — გადადგა ნიქსონი, გადადგა დე გოლი, გადადგა ბრანტი, ვინ დაიკავა მათი ადგილები? ოპოზიციის წარმომადგენლებმა? ნურას უკაცრავად! ფორდი, პომპიდუ, შმიდტი თავიანთ წინამორბედთა ბანაკიდან იყვნენ.

(დასასრული მე-2 გვ.).

მერვე სვეტი

სკოლას — უშანგი ობოლაძის სახელი

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ცნობილ მკვლევარს, პროფესორ უშანგი ობოლაძეს სამართლიანად უწოდებდნენ ქართული პედაგოგიკის პატრიარქს; იგი სამოცი წლის მანძილზე უმწიკვლოდ ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით დაკმაყოფილდა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შუამდგომლობა და სოფელ ხრესილის საშუალო სკოლას მიეკუთვნა უშანგი ობოლაძის სახელი.

გვალვა იმერეთში

აუტანელი გვალვაა ზემო იმერეთში. ორ თვეზე მეტია ჭიათურასა და საჩხერეში არ უწვიმია. ასეთი ხანგრძლივი ხვატი აქაურ უხუცესთ არ ახსოვთ. დაშრა არაერთი წყარო და მდინარე. განსაკუთრებით, უჭირს სოფლის მოსახლეობას, სარწყავს ვიღა ჩივის, ზოგან დასალევი წყალიც კი საძებნი აქვთ. დაიღუპა ერთწლიანი კულტურების ნათესების უმეტესი ნაწილი, მთლიანად გადახმა საძოვრები, საშიშროება ექმნება მრავალწლიან ნარგავებსაც — განსაკუთრებით ვენახებს.

აურაცხელი ზარალი მიიღო მოსახლეობამ, პროდუქციის მწარმოებელთა უმრავლესობა ბაზარს მოწყდა, გადამყიდველთა გამო კი კოლოსალურად იზრდება სასურსათო პროდუქციის ფასები.

სოზარ კუპატაძე,
„სრ" საკ. კორ.

კანონი მოქმედებს
ბოროტმოქმედი დაისაჯა

იგორ აკიმოვი და ალფრედ აგიჯანოვი ქსნის შრომა-გასწორების დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს. საღამოს, ვახშმის შემდეგ (აგიჯანოვის პროვოცირებით) ისინი შელაპარაკდნენ, რაც მოგვიანებით ჩხუბში გადაიზარდა. განაწყენებულმა აკიმოვმა ჯერ სკამი ესროლა აგიჯანოვს, შემდეგ კონიაკის ბოთლი გადაამტვრია რკინის საწოლზე და ყელის ნამსხვრევით რამდენჯერმე დაარტყა სახისა და კისრის არეში. აგიჯანოვი წაიქცა, მაგრამ მაშინაც აგრძელებდა აკიმოვის გინებას. დამნაშავემ სთხოვა, თავი დაენებებინა მისთვის და ექიმის გამოძახებასაც დაჰპირდა, მაგრამ აგიჯანოვი არ დაშოშმინდა. წონასწორობიდან გამოსულმა აკიმოვმა კიდევ რამდენიმე ჭრილობა მიაყენა მას, რის შედეგად აგიჯანოვი ადგილზე გარდაიცვალა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დამნაშავედ ცნო ი. აკიმოვი და სასჯელად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, აქედან პირველ ხუთ წელს დამნაშავე საპყრობილეში მოიხდის.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

თავდასხმა დედა-შვილზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 10 აგვისტოს ორი დაუდგენელი ბოროტმოქმედი მოტყუების გზით შევიდა ალლაძის ქუჩა, 34-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. მათ მძევლად აიყვანეს დედა-შვილი—ციალა გოგიტიძე და სოფიო ხვედელიძე.

ცხელ კვალზე განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროს, პოლიციის მთავარი სამმართველოსა და დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელობისა და ოპერატიული ჯგუფის გააზრებული მოქმედებით თავდამსხმელები ადგილზე დააკავეს.

ბოროტმოქმედთა დაკავებისას არავინ არ დაზარალებულა.

მეგობრობა — გზად და ხიდად
დაუვიწყარი პალერმო

ამ გაზაფხულზე — აპრილში — საზოგადოება „საქართველო-იტალიის" ინიციატივით იტალიაში, კერძოდ, პალერმოში გაემგზავრა აფხაზეთიდან დევნილი 8-12 წლის 115 ბავშვი. ცხადია, ამ კეთილშობილური აქციის ორგანიზატორს, საზოგადოების პრეზიდენტს, ბატონ ვახტანგ ესვანჯიას თბილისთან დაძმობილებული ქალაქის — პალერმოს მერის ბატონ ლეოლუკა ორლანდოს მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და არც შემცდარა: ქალაქის მერი, მთელი მუნიციპალიტეტი, სამი თვის განმავლობაში, როგორც იტყვიან, თან გადაჰყვა საქართველოს წარგზავნილთ და, ამით, კიდევ ერთხელ დაადასტურა იტალიელი ხალხის კეთილგანწყობა საქართველოსადმი.

თუმცა, მოდით, თვითონ ბატონ ვახტანგ ესვანჯიას მოვუსმინოთ, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს უზიარებს იტალიურ შთაბეჭდილებებს:

— მზადება პალერმოში ჩვენს მისვლამდე ცოტა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე თბილისიდან თვითმფრინავის პირდაპირი რეისით იქ ჩავიდოდით. ქალაქში შეიქმნა „საქართველოსთან სოლიდარობის კომიტეტი" (პრეზიდენტი — ქალბატონი ემილია სახაროვა), რომელმაც მოსამზადებელი სამუშაოების ძირითადი ტვირთი თავის თავზე აიღო. ამ საქმეში ჩაბმული იყო ქალაქის მუნიციპალიტეტის მცირეწლოვანთა ასესორატი (ასესორი — ქალბატონი ლაურა იაკოვონი). მასპინძლებმა წინასწარ გაანაწილეს ჩვენი ბავშვები. არჩევანი დიდი ჰქონდათ. ბევრი ოჯახი ითხოვდა პატარა ქართველების მასპინძლობას, ამიტომ მუნიციპალიტეტმა ყოველი ნიუანსიც კი გაითვალისწინა (ოჯახის წევრთა ფსიქიური მდგომარეობაც კი, ბუნებრივია, მატერიალური შესაძლებლობებიც). ზოგიერთი მთელი ოჯახით მოსულიყო შესახვედრად. უნდა გენახათ მათი გაბრწყინებული სახეები, როდესაც ბავშვებს იბარებდნენ. 115 ბავშვი 102 ოჯახზე განაწილდა. და-ძმები ერთად მოხვდნენ. მეორე დღესვე სკოლებში მიაბარეს და არდადეგებამდე ისინი მასპინძელ თანატოლებთან ერთად სწავლობდნენ.

ამ სამი თვის განმავლობაში აბსოლუტურად ყველა დაეუფლა იტალიურ ენას. ბავშვი ენას ადვილად ითვისებს, მაგრამ ადვილადვე ავიწყდება, ამიტომ გადავწყვიტეთ სექტემბრიდან მათთვის ჩვენს ოფისში გაიხსნას იტალიური ენის შემსწავლელი კურსები, რომელსაც იტალიაში თანმხლები ჩვენი თარჯიმანი გოგონები უხელმძღვანელებენ...

ჩვენს პატარებს თითქმის გადაავიწყდათ ტკივილი, გაუქრათ ნაღველი, იტალიელ თანატოლებთან ერთად ატარებდნენ კონცერტებს, აწყობდნენ ექსკურსიებს; იხდიდნენ დაბადების დღეებს. ის კი არა, ზოგი თავიდან რომ გაჭირვეულდა — სახლში მინდაო, ბოლოს აღარც მოგვყვებოდა იქიდან...

ბევრი რამ იყო საინტერესო და დასამახსოვრებელი, მაგალითად, მიღება სიცილიის კარდინალთან მონსინიორ პაპალარდოსთან, გამოსამშვიდობებელი საღამო ვილა ნიშემში, რომელზედაც ქალაქის მერმა ლეოლუკა ორლანდომ დამსწრე საზოგადოებას ბატონ ედუარდ შევარდნაძის სამადლობელი წერილი გააცნო.

მადლობას კი ათასგზის იმსახურებს ეს ხალხი... საკუთარ შვილებში არ არჩევდნენ ჩვენს პატარებს, მით უმეტეს, რომ ზოგს ისინი საკმაოდ ჰყავდა. რა გაძლებს უმაგათოდო — ამბობდნენ. ეს წრფელი გულით იყო ნათქვამი, თუნდაც იმიტომ, რომ წამოსულები არც ვიყავით, და ბევრმა მათგანმა უკვე დაიწყო ზრუნვა ინდივიდუალური წესით „შვილობილების" უკანვე მისაწვევად — სასწავლებლად, დასასვენებლად...

საერთოდ, იტალიელი მასპინძლები უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი ბავშვებით, ქალაქ პალერმოს მერიდან — ბატონ ორლანდოდან დაწყებული, რიგით „მშობლამდე", აქეთ გვიხდიდნენ მადლობას პატარა ლტოლვილების სიცილიაში ჩაყვანისათვის, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცათ მათ მიმართ ჭეშმარიტი მშობლიური ზრუნვა გამოეჩინათ.

ბოლოს, მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტს — პირადად ზურაბ ჭანკოტაძეს და ჯემალ კახიანს — უფასო პირდაპირი რეისების მოწყობისათვის, და საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტს (კოტე სალიასა და ომარ სიამაშვილს) ბავშვებისა და მათი მშობლების თბილისის აეროპორტში უსასყიდლოდ გადაყვანა-გადმოყვანისათვის.

იმ სიამოვნებისათვის, რაც ჩვენმა პატარებმა იტალიაში მიიღეს, ნამდვილად ღირდა შრომა და ქველმოქმედება.

●

სურათებზე: ბატონი ლეოლუკა ორლანდო გამოსამშვიდობებელ საღამოზე საზოგადოებას აცნობს ედუარდ შევარდნაძის სამადლობელ წერილს; პატარა ქართველების ერთი ჯგუფი ექსკურსიაზე სიცილიის ქალაქ აიდონეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შადმან ვალავი:

აბსოლუტურად ყველას მოგიწევთ, რომ სერიოზულად მოიჭიროთ ქამრები!

დღეს ვამთავრებთ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 31 ივლისის გაფართოებული სხდომის მასალების ბეჭდვას.

გთავაზობთ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის მოჰამედ შადმან ვალავის მიერ ამ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას.

ბატონო შევარდნაძე, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მთავრობის წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო.

ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის დიდი პატივია, რომ გვეძლევა შესაძლებლობა გამოვიდეთ ესოდენ საპატიო კრებაზე, ესოდენ პატივსაცემ ადამიანთა წინაშე.

თქვენ მოისმინეთ ბოლო თვეების მანძილზე ეკონომიკის განვითარების უაღრესად დეტალური ანალიზი, ამიტომ გპირდებით, რომ მოკლედ ვილაპარაკებ და შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან მომენტზე.

ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია პრობლემები, რომლებიც დგას თქვენს წინაშე, და სიძნელეები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. წარმოების მოცულობა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე იმდენად დაქვეითდა, რომ ამას შეიძლება დაშლა ეწოდოს. ქვეყანაში არის ჰიპერინფლაცია. განიცდით წარმოების თითქმის ყველა ფაქტორის, ესე იგი, ნედლეულისა და შუალედური პროდუქტების, მათ შორის ენერგოპროდუქტების ნაკლებობასა და დეფიციტს. ქვეყანაში ძალიან ცოტაა უცხოური ვალუტა. თქვენი ვალუტის გაცვლითი კურსი რადიკალურად შემცირდა. და ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თითოეული ქართველის, ქვეყნის ყველა მცხოვრების ცხოვრების დონე დაქვეითდა.

რა თქმა უნდა, ყველა ამ მოვლენის ახსნა შეიძლება მთელი რიგი ფაქტორებით. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირის დაშლა, სსრ კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობისა და გადასახდელთა მექანიზმების დარღვევა, საქართველოსათვის ვაჭრობის პირობების მკვეთრი გაუარესება ენერგოპროდუქტების მკვეთრი გაძვირების შედეგად, და ამას ვამბობ ბოლოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ბოლოს სათქმელი მნიშვნელობის ფაქტორი. ეს არის სამოქალაქო არეულობანი და აფხაზეთის კონფლიქტი. ყველა ამ ფაქტორმა თავისი როლი შეასრულა მოვლენათა ასეთ შემობრუნებაში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური პოლიტიკაც არ იყო სავსებით დასაბუთებული. 1993 წელს შეიძლებოდა გვეგო და რაღაცნაირად აგვეხსნა ის, რომ საფინანსო პოლიტიკას არ ექცეოდა საკმარისი ყურადღება. ეს აიხსნებოდა ობიექტური და სხვა მიზეზებით. ახლა კი, როცა, საბედნიეროდ, მართლწესრიგი აღდგენილია, დადგა დრო ხელი მოვკიდოთ ამ საკითხებს. მოკლედ ჩამოგითვლით საერთაშორისო სავალუტო ფონდის მანდატის განხორციელების წრის ნუსხას, დარგებს, რომლებიც მას ეხება.

აქ წავაწყდით მანკიერ წრეს. მთავრობა, ხაზინა სულ უფრო და უფრო ნაკლებ შემოსავალს იღებენ. სულ უფრო ნაკლებია ბიუჯეტში შემოსულობანი. ამიტომ არის, რომ მთავრობას, ესე იგი, მთლიანად სახელმწიფო აპარატს, არ ძალუძს ანგარიშსწორება. აღმოჩნდა, რომ, როგორც რესპუბლიკური ბიუჯეტის, ასევე ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტების შემოსულობანი ბევრად ნაკლებია, ისინი ბიუჯეტის ორივე ნაწილის (რესპუბლიკური და ადგილობრივი) გასავალზე ბევრად ნაკლებია. ჩემი აზრით, ვერც ერთი ადამიანი, ცალკე აღებული, ვერც ერთი ოჯახი ასე დიდხანს ვერ იცხოვრებს. სამართლიანობა მოითხოვს, იგივე ითქვას მთავრობის მიმართაც.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? მთავრობა იძულებულია ეყრდნობოდეს მხოლოდ საგარეო სესხებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებს. საქართველოს ეროვნული ბანკისაგან მიღებული სესხი თუ კრედიტები მხოლოდ ინფლაციის ცეცხლზე ასხამენ ნავთს. და ეს დაუყოვნებლივ იწვევს გაცვლითი კურსის შემდგომ შემცირებას. შედეგად კი ზუსტად მეორე დღეს უარესდება ყველასი და თითოეულის მდგომარეობა. ამან, რა თქმა უნდა, ის გამოიწვია, რომ საქართველოს მოსახლეობა, ყველა ქართველი რაციონალურად ირჯება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არავის არ სურს შეინახოს და გამოიყენოს კუპონები. არადა, რომელი გონიერი, ბრძენი ადამიანი მოისურვებდა თითქმის ყოველდღე ცხოვრობდეს ისეთ პირობებში, როცა თქვენი აქტივების — ფულით გამოხატული თქვენი დოვლათის ფინანსური ღირებულება ყოველთვის მცირდებოდეს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოიშოროს თავიდან კუპონი. ადამიანები დოლარებს, რუბლებსა და ნებისმიერ სხვა ძვირფასეულობას ყიდულობენ, რომელთა შეძენაც შეიძლება. ყველგან შეიმჩნევა ეროვნული ვალუტის გაცვლის სიტუაცია, არსებითად კუპონს სასაქონლო მომსახურების რამდენიმე სახეობის ასანაზღაურებლად თუ იღებენ. რუბლს მოსახლეობა იყენებს ყველა ყოველდღიური ოპერაციის საფასურის გადასახდელად, ხოლო დოლარსა და სხვა კონვერტირებად ვალუტას, ეტყობა, იყენებს როგორც ღირებულების შენარჩუნების საშუალებას. ცალკეული ადამიანების, ინდივიდუუმების მხრივ ეს ქცევის სავსებით რაციონალური ხაზია. რომელიც, უნდა ითქვას, ძირს უთხრის დისციპლინას ეკონომიკურ სისტემაში, მთლიანად ეკონომიკაში. ამიტომაც შეიმჩნევა ისეთი მოვლენები, რომ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი უარს ამბობს კუპონი მიიღოს გადასახადების ანაზღაურების სახით. არის სხვა მაგალითიც. საქართველოს სხვა რეგიონი, ქალაქი საგადასახადო საშუალებად მხოლოდ კუპონს იღებს. რა თქმა უნდა, როგორც ერთი, ისე მეორე მაგალითი, არ არის გრძელვადიანი თვალსაზრისით პრობლემის გადაჭრის საშუალება. უნდა გქონდეთ დასაბუთებული პოლიტიკა ვალუტების დარგში. აქედან გამომდინარეობს მკაფიო დასკვნა. **კუპონის გაცვლითი კურსის შემდგომი გაუფასურება, შემდგომი დაქვეითება კიდევ უფრო გააუარესებს ყველას ცხოვრების დონეს, გააუარესებს ქვეყნის თითქმის ყველა მცხოვრების დონესა და არსებობას.** ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვითარება იმდენად კრიტიკული შეიქმნა, რომ საქართველოს ფული იმისთვისაც კი არ ჰყოფნის, რომ დაფაროს ახალი კუპონების ბეჭდვის ხარჯები. ასეთი ხარჯებისათვის ფულიც რომ იყოს, ვერ მოახერხებდა საქართველოში ვალუტით დაბეჭდილი კუპონების პარტიების ოპერატიულ ჩამოტანას, რათა დაეკმაყოფილებინა ვალუტაზე მოთხოვნები. ეს მერყევი სისტემაა. ახლანდელი სტატუს-კვოს შენარჩუნებაც კი ვერ ხერხდება, რადგან გარდაუვალია სიტუაციის შემდგომი გაუარესება. ეს ჩანს მთავრობის ანგარიშებიდან, საბიუჯეტო ანგარიშებიდან. ხარჯები გამუდმებით იზრდება, შემოსავალი კი გამუდმებით მცირდება. რა თქმა უნდა, ასე დიდხანს გაგრძელება არ შეიძლება. ასეთი ვითარების შენარჩუნება წარმოუდგენელია.

არის სხვა პრობლემაც. მთლიანად აღებული ქვეყანაც სახსრების მიხედვით ცხოვრობს. ქვეყნის დამოუკიდებლობის რამდენიმე წლის მანძილზე იგი კრედიტებს იღებდა ნებისმიერი კრედიტორებისაგან, რომლებიც მზად იყვნენ გაეხსნათ საკრედიტო ხაზი. საგარეო ვალის თანხა ეკვივალენტურად თითქმის გაუთანასწორდა ქვეყნის მთლიანი საშინაო პროდუქტის თანხას. გარდა ამისა, ქვეყანას არა აქვს შესაძლებლობა მოემსახუროს თავის საგარეო ვალს. და ეს პრობლემა იდგება და დღენიადაგ დაუბრუნდება არა მარტო თქვენი თაობის, არამედ, უნდა ითქვას, თქვენი შთამომავლების დღის წესრიგს. ეს აგრეთვე ნიშნავს კიდევ ერთ მიზეზს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ახლანდელი ვითარების შენარჩუნება. საქმე ის არის, რომ კრედიტორები, რა ფორმითაც უნდა გაძლევდნენ კრედიტებს, იქნება ეს ფინანსური საშუალებები თუ გაზი, ამას დაუსრულებლად არ გააკეთებენ. როდესმე ეს კრედიტები შეწყდება.

არის კიდევ მესამე შემაშფოთებელი მოვლენა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის ეკონომიკაში წარმოიქმნება, ყალიბდება გადაუხდელობის კულტურა. მთავრობას არ შეუძლია გადაიხადოს ვალები თავისი ანგარიშებით. ქვეყანას არ შეუძლია გადაუხადოს ვალი თავის საგარეო საზღვარგარეთელ კრედიტორებს. საწარმოებს არ შეუძლიათ ანგარიში გაუსწორონ ერთმანეთს ან მთავრობას. ცალკეული ადამიანებიც უძლური არიან დაფარონ თავიანთი ხარჯები. გამოდის, რომ მითიური, საბედისწერო წარწერა კედელზე უკვე გამოჩნდა. მიგვაჩნია, რომ საქართველო ახლა გზაჯვარედინზე, გზის გასაყარზე დგას. **თქვენ ან მიიღებთ გადაწყვეტილებას არაფერი არ გააკეთოთ და ძველი გზით იაროთ. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტთ რაღაც კერძო პრობლემებს, ხან აქ, ხან იქ, ისე, რომ არ გადაწყვეტთ მთლიანად რაიმე პრობლემებს.** რასაც მოჰყვება ინფლაციის შემდგომი მატება და კუპონის გაცვლითი კურსის შემდგომი შემცირება, ასევე ქვეყნის ყველა მცხოვრების პირობებისა და დონის გაუარესებაც.

ალტერნატივა ის არის, რომ საკუთარ ხელში აიღოთ ქვეყნის მომავალი, ეს კი, რა თქმა უნდა, ნიშნავს იკისროთ მტკივნეული გადაწყვეტილებანი, ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოჰყვება მტკივნეული შედეგები და რომლებიც მეტად არაპოპულარული აღმოჩნდება.

დღეს ვუსმენდი გამოსვლებს, რომლებიც ამ დარბაზში გაისმოდა, და თითქმის ყველა გამომსვლელს აქვს რაღაც მოთხოვნა მთავრობისადმი. ყველა ასეთ მოთხოვნას აყენებს და ერთდროულად სვამს კითხვას: მაინც რატომ უფასურდება კუპონი? საქმე ის არის, რომ მთავრობას არა აქვს ამ მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი რესურსები. ამიტომაც მიმართავს იგი სესხებს, კრედიტებს. და რაც უფრო მეტ საშინაო კრედიტებს იღებს იგი, მით უფრო მეტად უფასურდება კუპონის კურსი. ასე რომ, ჩვენ ვფიქრობთ, მთავრობამაც, ქვეყნის მთელმა ხელმძღვანელობამაც უნდა მიიღონ სერიოზული გადაწყვეტილებანი, მაგრამ **ასეთი გადაწყვეტილებანი ყველა დონეზე უნდა მიიღოთ. თითოეულმა თქვენგანმა უნდა მიიღოს ისინი.**

მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისია პრობლემებზე ლაპარაკი. ახლა, მოდით, იმაზე ვისაუბროთ, თუ **როგორ გადავწყვიტოთ ისინი, რა გამოსავალი მოვძებნოთ.**

ჩვენ ხელიხელჩაკიდებული ვმუშაობთ ქვეყნის ხელისუფლებთან, უწინარეს ყოვლისა, მთავრობასთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში. და ჩვენ გთავაზობთ სტრატეგიას, გთავაზობთ იმ ღონისძიებათა შენარჩევს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, აქვთ წარმატების შანსი. მაგრამ ამისათვის უნდა ვხელმძღვანელობდეთ წანამძღვრებით, რომლებიც მოწყვეტილი არ არის რეალიებისაგან. ფხიზლად უნდა შევაფასოთ შექმნილი ვითარება, გავიგოთ, თუ რამდენად სავალალოა იგი და რა არის სახელდობრ მისი არსი. ამ სტრატეგიის მიზანი არის, რა თქმა უნდა, ეკონომიკის სტაბილიზაცია და საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით წინსვლა. მიგვაჩნია, რომ **სტაბილიზაცია და სტრუქტურული რეფორმები გვერდიგვერდ უნდა მიდიოდნენ.** ჩვენს წინადადებას საფუძვლად უდევს მთელი რიგი ფრიად სერიოზული ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განვახორციელოთ.

წინადადება ითვალისწინებს **ფასების მკვეთრ მომატებას, ფასების სერიოზულ რადიკალურ რეფორმას.** ეს საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ მოხმარება შევუსაბამოთ რესურსებს, არამედ იმისთვისაც, რომ უზრუნველვყოთ მათი გამოყენების ეფექტიანობა, უკუგება მათგან.

წინადადების მეორე ნაწილი ან მეორე მხარე ითვალისწინებს **მთლიანად სახელმწიფო სექტორისა და კერძო სახელმწიფო აპარატის სერიოზულ რეორგანიზაციას მისი ოდენობის შემცირების მიზნით.** იგი აგრეთვე შეიცავს წინადადებას ან მოწოდებასაც კი **მკვეთრად შემცირდეს როგორც ქვეყნის, ისე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტის დეფიციტი.** ეს ნიშნავს, რომ ბევრი, ყოველ შემთხვევაში გარკვეული ხარჯები, რომლებიც ამ ბიუჯეტების ხარჯზე იფარება, უნდა შემცირდეს. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილებანი ადვილი როდია, მათი მიღება დაკავშირებულია მტკივნეულ შედეგებთან. მაგრამ ვფიქრობთ, რომ სჯობს მაინც რაღაც მიზანი დაისახო, იცოდე საითკენ მიდის ქვეყანა ან რა გსურთ თქვენ, ვიდრე მოვლენების განვითარება ბედის ანაბარა მიუშვათ. **ქვეყნის, მთავრობის ფინანსური პოზიციის, ესე იგი, ბიუჯეტის სტაბილიზაციის გარეშე ვერ შეძლებთ აწარმოოთ საკმაოდ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ამნაირად თავიდან აიცილოთ კუპონის გაცვლითი კურსის შემდგომი შემცირება.**

ჩვენი თვალსაზრისი ის არის, რომ **აბსოლუტურად ყველას მოგიწევთ სერიოზულად მოიჭიროთ ქამრები.** რა თქმა უნდა, უნდა განხორციელდეს სხვა რეფორმებიც.

თქვენ უკვე მიიღეთ **პრივატიზაციის გაბედული პროგრამა, რომელიც მტკიცედ და რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა განახორციელოთ.** გადასახდელებთან დაკავშირებული სიძნელეების, გადასახდელების სისტემის დაშლის გამო განვითარდა ბარტერის, ესე იგი, სავაჭრო კლირინგის სისტემა, რომელიც წინგადადგმული ნაბიჯი კი არა, უკან გადადგმული ნაბიჯია და არა განვითარება. ის სახელმწიფო საწარმოებიც კი, რომლებიც რაღაც მიზეზთა გამო არ განეკუთვნება პრივატიზაციას, არ იქნება პრივატიზებული, აუცილებლად უნდა იყოს რეორგანიზებული, ამასთან, უაღრესად სერიოზულად. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდება, მაგრამ რაკი ფასების რეფორმა მკვეთრ გავლენას მოახდენს მოსახლეობის ცხოვრებაზე, **უნდა განიხილოთ,** მიგვაჩნია, **ხელფასის მომატების საკითხიც.**

მინდა თქვენს წინაშე ვიყო პატიოსანი და გულახდილი. ხელფასის მომატებისათვის არავითარი ეკონომიკური დასაბუთება არ არის. და არც შრომის ნაყოფიერების გადიდების რაიმე ნიშანი და არც რაიმე რესურსი აქვს მთავრობას. საქმე ის არის, რომ ყოველთვის, როცა მთავრობა ხელფასებს ზრდის, იგი იძულებულია ეს სესხების ხარჯზე მოახდინოს. ამიტომ მოსახლეობამ, ყველამ რეალიზმი უნდა გამოიჩინოს თავიანთ მოლოდინში, იმაში, რასაც მიიღებენ. არ უნდა გქონდეთ ილუზიები. **ხელფასის თითოეული მომატების დროს უარესდება ყველასი და თითოეულის მდგომარეობა, იმიტომ, რომ ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა რეალური გამოხატულებით შემცირდება. და მაინც უნდა გაითვალისწინოთ ყველაზე დაუცველი მოსახლეობის ფენების ან ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროებაც.**

ჩვენი საუბრებისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობის მრავალ წარმომადგენელთან საკითხების განხილვის დროს აღინიშნებოდა ის ფაქტი, რომ ხელფასმა ქვეყანაში დაკარგა რეალური აზრი. ცხადი ხდება, რომ ადამიანთა უმრავლესობა ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციებისაგან მიღებული ხელფასის ხარჯზე ცხოვრობს. და, რა თქმა უნდა, საჭიროა განისაზღვროს თქვენს წინაშე დასახული ამოცანების პრიორიტეტულობა. ხანმოკლე პერსპექტივაში, უახლოეს მომავალში უნდა დაიცვათ ღარიბი ადამიანები, მოსახლეობის უქონელი ჯგუფები. იმათ უნდა დაეხმაროთ, ვინც მხოლოდ თავის ხელფასს ეყრდნობა, როგორც არსებობის ძირითად წყაროს. ამასთან არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველგვარი მოთხოვნა ასეთი გაზრდის შესახებ ინფლაციას აღიდებს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ეს არის მარცხისათვის განწირული სტრატეგია. **ყოველთვის, როცა ვიღაც იღწვის მოსახლეობისათვის ხელფასის გასადიდებლად, მთლიანად ზრდის ინფლაციის ტემპს.**

ჩვენ შევიმუშავეთ სტრატეგიის ელემენტები, რომელზეც ვესაუბრე თქვენს წარმომადგენლებს, ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს ორმაგი მიზნით ან ორმხრივი მიზნებით, ერთი მხრივ, რა უნდა გაკეთდეს უახლოეს მომავალში დაუყოვნებლივ და როგორ ვიმოქმედოთ შემდეგ. ეს მოსაზრებანი ნაკარნახევია ფინანსური რეალიებით, რესურსების არსებობით. აღნიშნულის შემდეგ მინდა შევეხო იმას, თუ რა როლის შესრულება შეგვიძლია ჩვენ — საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

ჩვენ არა ვართ ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს განვითარებას. ჩვენ ვაფინანსებთ განვითარების პროექტებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუხლები, შეთანხმებანი, ესე იგი წესდება და მისი გამგებლობის არე, განსაზღვრავენ: ჩვენ ვუწევთ კონსულტაციებს ეკონომიკური პოლიტიკის დარგში მაკროდონეზე, ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციებს სტაბილიზაციის მიღწევის თაობაზე.

ვაშინგტონში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელთან მისი შეხვედრის შემდეგ სიხარულით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენი თანამშრომლობა ბევრად გაუმჯობესდა. თქვენი ხელმძღვანელობის გამონათქვამებიდან აქ, ქვეყანაში და ვაშინგტონში ჩამოსულ ქართველ ხელმძღვანელთა გამონათქვამებიდან გამოვიტანეთ დასკვნა, რომ **საქართველო მზად არის დაადგეს მეორე გზას. ქვეყანა მზად არის საკუთარ ხელში აიღოს თავისი მომავალი და ძალიან მიხარია, რომ შემიძლია ვთქვა: ყოველივე ამის გათვალისწინებით საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზად არის დაგეხმაროთ მუშაობის სამივე მიმართულებით.** ესე იგი გაგიწიოთ კონსულტაციები ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე, გაგიწიოთ აგრეთვე ტექნიკური ფინანსური დახმარება. პირველი ორი დარგის მიხედვით გვქონდა კონტაქტები აი უკვე რამდენიმე ხნის განმავლობაში. მესამე დარგში, მესამე სფეროში კი, ველი თქვენი მხარე როდის მიიღებს გადაწყვეტილებას დაიძრას მკვდარი წერტილიდან, წაიწიოს წინ. და **თუ მიიღებთ ამ ძნელ გადაწყვეტილებებს ეკონომიკის სტაბილიზაციის დასაწყებად, მზად ვართ მოგცეთ კრედიტები.**

ახლა ვაწარმოებთ მოლაპარაკებას დაფინანსების სისტემურ გარდაქმნათა მექანიზმის ფარგლებში ფონდის რესურსების გამოყენების შესახებ, რომლის ფარგლებში (ამ მექანიზმისა) საქართველოს შეუძლია მიიღოს 70-დან 80 მილიონამდე კრედიტები ორ წილად. ალბათ, მოგეხსენებათ პრაქტიკა, რომლის თანახმად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჩვეულებრივად პირველი მერცხალია და უკვე ჩვენს შემდეგ იწყებენ თანამშრომლობას ამა თუ იმ ქვეყანასთან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ პროექტებს, დღეს რომ იყო ლაპარაკი. ამას შეუძლია წინ წასწიოს საქმე — საქართველომ მარტო ჰუმანური დახმარება კი არ მიიღოს, არამედ დახმარება, რომელსაც მოჰყვება ნამდვილი ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია.

ყველასათვის ცხადია, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება წამიერი საქმე არ არის, ამას რამდენიმე წელი დასჭირდება. მაგრამ თუ თქვენ მზად ხართ იაროთ ამ გზით და ამ გზიდან არ გადაუხვევთ, მაშინ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზად არის გაგიწიოთ ფინანსური დახმარება. და იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხის გამომგონებლობისა და საზრიანობის, აქ არსებული რესურსების, მოსახლეობის განათლების დონის გათვალისწინებით, მალე ჩვენ თქვენთვის საჭირო აღარ ვიქნებით, მაგრამ ამას რამდენიმე წელი დასჭირდება.

ნება მიბოძეთ დასასრულ ვთქვა: ქალბატონებო და ბატონებო! ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი მზად არის დაგეხმაროთ. გმადლობთ!

განწირულ ბავშვთა გადასარჩენად

უკვე მეორედ ჩამოვიდნენ საქართველოში ბავშვის დახმარების საერთაშორისო ფონდის — ასოციაცია „ფრენკის“ წარმომადგენლები.

ამ ფონდის წევრები, მრავალ სისასტიკეთა მნახველნი, მაინც განაცვიფრა ოდესღაც „მიწიერ სამოთხედ“ წოდებულმა საქართველომ, თბილისის ბავშვთა სახლში და კასპის რაიონის დაბა ახალქალაქის ავადმყოფ ბავშვთა ცენტრში გამეფებულმა სავალალო მდგომარეობამ...

ახალქალაქის ბავშვთა სახლიდან წასაყვანად შეარჩიეს 14 უპატრონო და 11 მშობლიანი ბავშვი, რომელთაც რეაბილიტაციის შემდეგ უკანვე ჩამოიყვანენ. ამასთან, ისინი მზად არიან, „მშობლიან“ ბავშვთან ერთად წაიყვანონ მისი დედა ან აქაური მედპერსონალის წარმომადგენელიც.

დღეს კი აქ კატასტროფული მდგომარეობაა: ერთ თვეში 5 პატარა ობოლი გამოეთხოვა სიცოცხლეს. „რატომ დუმს ეკლესია? ტელევიზია? სად არიან მწერლები? ჟურნალისტები?“ — კითხულობენ სტუმრები.

პრესკონფერენციაზე, რომელიც სტუმრებმა გამართეს, ითქვა რომ ყბა-სახის პათოლოგიის მქონე ბავშვების მშობლებს შეუძლიათ მიმართონ ზურაბ ვადაჭკორიას ყოფილ მეორე საავადმყოფოში, 29 აგვისტოსდან 6 სექტემბრამდე. ავადმყოფებს საოპერაციოდ წაიყვანენ საზღვარგარეთ.

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის — „კავკასიური სახლის“ პრესსამსახური.

საქართველო გა[illegible]!

წყალს შაქარი გამოჰქონდა...

[illegible] იყო საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ [illegible] ერ „ახუნზე“ საწარმოო კომერციული ფირმა „ნეგას“ 118.450 კილოგრამი შაქრის ფხვნილის განზრახ გაფუჭების ფაქტზე. ფოთის სარაიონთაშორისო პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ამ ამბავმა, ბუნებრივია, მრავალი შეკითხვა აღ[illegible]ობას, ხალხს აინტერესებს, როგორ წარიმართა საქმის გამოძიება და რა მდგომარეობაა დღეისათვის.

მოვლენებს კვალდაკვალ მივყევით.

შარშან დეკემბერში დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის ინიციატივით და რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით სოხუმის საწარმოო-კომერციულმა ფირმა „ნეგამ“ რეგიონის მეჩაიეობის რაიონების გამგეობათა თხოვნით, სათანადო დოკუმენტაცია გააფორმა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გემით გაიტანა 298 ტონა დაუფასოებელი ჩაის პროდუქცია (ჩაის ფაბრიკებისა და კომბინატების 240 ტონა, რომლის საერთო ღირებულება 98.625.000 რუბლს შეადგენდა და სხვადასხვა ფირმებისა და კოოპერატივების 60 ტონამდე). როგორც ოფიციალური დოკუმენტებიდან ჩანს, ამ პროდუქციის ბარტერული გაცვლის წესით უკრაინაში რეალიზაციის დამთავრებისთანავე, „ნეგამ“ იმავე გემ „ახუნით“ ფოთის ნავსადგურში 14 მაისს შემოზიდა 1300 ტონამდე სახალხო მოხმარების საქონელი: 256 ტონა შაქრის ფხვნილი, 320 ტონა სამეურნეო საპონი და 718 ტონა დაფასოებული საკვები მარილი. ჩამოტანილი საქონელი ძირითადად დაურიგდათ ჩაის ფაბრიკებსა და და კომბინატებს: 197.468.000 რუბლის ოდენობის 70.100 კილოგრამი შაქარი, 266.400 ცალი სამეურნეო საპონი და 60.760 კილოგრამი მარილი.

ამას გარდა, ფირმამ დამატებითი სამეურნეო დახმარების სახით რეგიონის ჩაის ფაბრიკებს, კომბინატებს, სამომხმარებლო საზოგადოებებს გადასცა 97.947.000 რუბლის ღირებულების სხვადასხვა საქონელი, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოებს, სამხედრო უწყებებს, განათლების განყოფილებებს, ფოთის ნავსადგურის მუშაკებს, ლტოლვილებს, ცალკეულ მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარების სახით დაურიგა 69.626.000 რუბლის საერთო ღირებულების სხვადასხვა საქონელი. ტვირთის ნაწილი კი, 145.000 რუბლის საერთო ღირებულებისა, გაიყიდა გემით სარგებლობისათვის იჯარის გადასახდელად, მუშაკების ხელფასის, კვების, საწვავის, ნავსადგურის მომსახურების და სხვა ხარჯების დასაფარავად.

მთელი ამ ოპერაციის საქონელბრუნვამ 699.188.000 რუბლს გადააჭარბა.

სოხუმის საწარმოო-კომერციული ფირმა „ნეგას“ პრეზიდენტი ნუგზარ გოგია:

ჩაის ფაბრიკებს და კომბინატებს არც ავტომანქანები და არც საწვავი არ აღმოაჩნდათ, რათა ჩვენს მიერ იჯარით აღებული გემი „ახუნი“ ფოთის ნავსადგურში დაეტვირთათ. იძულებული გავხდით ჩვენივე მანქანებითა და საწვავით შეგვეგროვებინა ეს პროდუქცია და ნავსადგურში მიგვეტანა. იქ დატვირთული ავტომანქანები 5 დღეს იდგნენ ფოთის საბაჟოს უფროსის მოლოდინში. მერე, როგორც იქნა, გამოჩნდა საბაჟოს ინსპექტორი თენგიზ წულაია, რომელსაც გემში ჩაის ჩატვირთვის დაწყების ნებართვა ვთხოვეთ. ასევე პარალელურად მივმართეთ ქალაქის მერიას, რათა უზრუნველეყო ჩვენი ტვირთის მერეკეტეებისგან დაცვა. მერიამ ეს სატრანსპორტო პოლიციის უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ თენგიზ მილორავას დააკისრა. პოლიციამ დავალება შეასრულა. მესამე დღეს გამოჩნდა საბაჟოს უფროსი რიჩარდ ხუადე. მან სათანადო წერილი დაგვაწერინა და რეზოლუციაც დაადო, რომლის თანახმადაც გემის დატვირთვის დამთავრებისთანავე ჩვენ უნდა წარმოგვე[illegible]ნა ჩაის პროდუქციის გატანის [illegible] და ზონის დრ[illegible]ითი კომიტეტ[illegible] სათანადო ნე[illegible]ა. ანალოგიური ნებართვა მოგვ[illegible]ოვა ლიცენზიის გამცემმა გული ლოლუამ. გემი იტვირთებოდა. საბაჟოს მუშაკებ[illegible] გემს ყოველ საღამოს სათანადოდ ლუქავდნენ, დილას ისევ ხსნიდნენ.

როცა დატვირთვა დამთავრდა, უშიშროების სამსახურის ფოთის განყოფილებამ მალფუჭადი პროდუქციით დატვირთული გემი დალუქა ფოთის საბაჟოს ყოფილი უფროსის წარდგინების საფუძველზე, გემში ჩატვირთული პროდუქცია ეკუთვნის არა ზონის ფაბრიკებს, არამედ ვიღაც კერძო პირებსო.

დაიწყო გამოძიება. გემის სათავსოები დაილუქა 1994 წლის 14 იანვარს და გაიხსნა მხოლოდ 20 თებერვალს. ამ ხნის განმავლობაში გემზე იმყოფებოდა ეკიპაჟის 29 წევრი და ფირმის 15 წარმომადგენელი, რომლებსაც ვაჭმევდით და ვასმევდით. ასევე ყოველდღე ვაძლევდით 1200 ლიტრ დიზელის საწვავს, რათა გემისათვის დენი მიეწოდებინათ. ეს ხარჯები ფირმის კისერზე იყო. ამ ხნის განმავლობაში თბილისში ხუთჯერ ჩავედი. თითქმის თვენახევარი გვაწვალეს. მერე, როგორც იქნა, გაგვიშვეს და თან გამოგვაყოლეს უშიშროების სამსახურის სამი წარმომადგენელი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ადგილზე ჩასვლისას ქერჩის ნავსადგურში მონაწილეობა მიეღოთ გემის გადმოცლაში ტვირთის რაოდენობის დასაზუსტებლად. რასაკვირველია, ტვირთი ადგილზე იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც დოკუმენტებით გვქონდა გაფორმებული. სამწუხაროდ, ჩაის პროდუქციის შემსყიდველს, ვისთანაც ხელშეკრულება გვქონდა დადებული, ჩვენი დაგვიანების გამო ანალოგიური პროდუქცია სხვისგან შეეძინა. ჩვენ კი მოგვიხდა პროდუქციის ახალი შემსყიდველი კიევში მოგვეძებნა და იქ გაგვესაღებინა.

ამასობაში, ოთხიოდე თვე გავიდა. ჩაის რეალიზაციიდან აღებულ თანხებს დავუმატეთ ფირმის სხვა სახსრებიც და უკან წამოსაღ[illegible] შევიძინეთ პროდუქტები და საქონელი.

როგორც იქნა, ფოთში ჩამოვაღწიეთ. აქ კვლავ უსიამოვნება შეგვხვდა, ჩამოსვლის მეორე დღესვე გემის იმ ტრიუმში, სადაც 118.450 კილოგრამი შაქრის ფხვნილი იყო ჩაწყობილი, ვიღაც ბოროტმოქმედმა წყალი შეუშვა. შაქრის თითქმის ნახევარი გაფუჭდა და დადნა!

მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულად გვაზარალეს, მაინც ორმაგად გავუსწორეთ ანგარიში ყველას, ვისგანაც პროდუქცია წავიღეთ. ისინი კმაყოფილი არიან ჩვენი ფირმის საქმიანობით. კმაყოფილი არიან გემის ეკიპაჟის წევრებიც, მისი კაპიტნის ზურაბ გოგიტიძის მეთაურობით. ფირმა იჯარით აღებული გემის ეკიპაჟის ყოველ წევრს თანამდებობის მიხედვით ყოველთვიურად ხელფასს აძლევდა 120-250 ათასი მანეთის ოდენობით, გარდა ამისა, დღეში სამჯერ კვებავდნენ.

მაშ, მაინც რა მოხდა გემზე? ვინ იყო ფირმისა და მისი კოლექტივის უკმაყოფილო? ნამდვილად არავინ! ეს დივერსიული აქტი ჩაიდინა არა გემის ეკიპაჟმა, არამედ მის რომელიღაც თანამოსაქმეზე განაწყენებულმა პირმა. ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოძიება რატომღაც ძალიან გაჭიანურდა. არადა, ხელი გვეშლება. პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები ჩვენგან წაღებულია. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას ვერ ვურიცხავთ ფირმის მიერ მოგებიდან მიღებულ სათანადო თანხას.

ამასთან ერთად, დროა გავერკვეთ, ვინ არის ნამდვილი ბიზნესმენი და ვინ არის სპეკულანტი, ვინ დგას სახელმწიფოს გვერდით სინამდვილეში და არა ფორმალურად, როგორც ამას, სამწუხაროდ, ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაშიც აკეთებენ ცალკეული თანამდებობის პირები. ბიზნესმენებს ხელს უშლიან, ბარიერებს უქმნიან. მათ წინააღმდეგ ხმა უნდა ავიმაღლოთ.

ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი ვახტანგ ლემონჯავა: — ჩვენმა კომბინატმა საწარმოო-კომერციულ ფირმა „ნეგას“ სათანადო ხელშეკრულებით 36 ტონა დაბალი ხარისხის ჩაის პროდუქცია მისცა. სამაგიეროდ ფირმამ მოახერხა ჩვენი კომბინატისათვის 8.450 კილოგრამი შაქრისა და 800 ცალი სამეურნეო საპნის მოწოდება, ამან საშუალება მოგვცა დაგვემთავრებინა სარემონტო სამუშაოები მიკროფაბრიკაში, შეგვეძინა საწარმოსა და სატრანსპორტო ტექნიკის მარაგნაწილები, თანამშრომლებისათვის ხელფასის ანგარიშში მიგვეცა საქონლის ნაწილი და, რაც მთავარია, მეჩაიეებისათვის 400 ტონა ნედლეულის მოკრეფის ღირებულება დაგვეფარა ნატურით.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ კმაყოფილი ვართ ფირმა „ნეგასთან“ [illegible] ვართ შემდგომშიც გავაგრძელოთ ეს პარტნიორობა.

ფოთის სარაიონთაშორისო პროკურორი გოჩა აბშილავა:

ფოთის სარაიონთაშორისო პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ტრაილერ „ახუნის“ სათავსოში წყლის ჩაშვების ფაქტზე, რის შედეგადაც გაფუჭდა 118.450 კილოგრამი შაქრის ფხვნილი. საქმე აღიძრა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით, რაც ნიშნავს სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურებას.

ტექნიკური ექსპერტიზა ჩაატარეს ბათუმის საზღვაო სანაოსნოს და ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გემის რეგისტრებმა ვ. ფეტისოვმა და ს. დათუაშვილმა. გარდა ამისა, დანიშნულია და ტარდება სასამართლო-სასაქონლო და საგამოძიებო გრაფიკული ექსპერტიზები. სასამართლო-ტექნიკური ექსპერტიზის აქტის მიღების შემდეგ უახლოეს დღეებში გადაწყდება კონკრეტული დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

პროკურატურამ შექმნა საგამომძიებლო ჯგუფი და გამოძიება უშუალოდ ჩემი მეთვალყურეობითა და კონტროლით მიმდინარეობს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე გივი ლომინაძე:

სამწუხაროდ, ეს საბარტერო ოპერაცია თავისი მასშტაბებით ერთადერთია საგანგებო სიტუაციების ზონაში შემავალი რაიონებისათვის. არადა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უკიდურესად დაძაბული ეკონომიკური მდგომარეობიდან, სიღ[illegible]იდან გამოგვიყვანს ად[illegible]ივი რეზერვების ამოქმ[illegible]ება. როცა ვამბობ ადგილობრივ რეზერვებს, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა, ვგულისხმობ ჩაის პროდუქციას. გადავწყვიტეთ იგი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავეტანა და მის სანაცვლოდ მეტად საჭირო, აუცილებელი და დეფიციტური პროდუქტები შემოგვეტანა.

დიდი დავიდარაბა გადაგვხვდა. წინ აღგვიდგნენ ცალკეული თანამდებობის არაკეთილსინდისიერი, ზნეობადაკარგული პირები. მხედველობაში მაქვს, პირველ ყოვლისა, ფოთის საბაჟოს სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელობა, ასევე ძალისმიერი სტრუქტურების ცალკეული თანამშრომლები, რომელთა პროვოკაციული მოქმედებების შედეგად, ჯერ იყო და, თითქმის ორი თვე შეყოვნდა პროდუქციის დანიშნულებისამებრ გატანა, შემდეგ კი შეპირებული მომხმარებლის დაკარგვა და, რაც მთავარია, საქონელბრუნვის ოთხი თვით დაგვიანება.

დარწმუნებული ვარ ამავე ძალებმა მოახერხეს სიმწრით შემოტანილი შაქრის ფხვნილის განადგურებაც.

ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მივმართავ ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელებს, რომ დროულად უზრუნველყონ ამ საქმის გამოძიება და ჭეშმარიტების დადგენა. თვალის დახუჭვა ნიშნავს იმ დესტრუქციული ძალების მხარდაჭერას, რომელთაც ჩირის ფასად არ უღირთ ხალხის ინტერესები.

იოსებ გოგეჩია,
„სრ“ საკ. კორ.

ქართული ოპოზიცია: ძალა და უძლურება

(დასასრული)

ბესიკ ხუბაშვილის ნახატი.

ახლა ჩვენს რეალობას მივუბრუნდეთ; პიროვნულად სახელმწიფოს მეთაური იქცა „განხეთქილების ვაშლად“, თუ მისი კურსი? ჩემი აზრით, შეფარდება ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. დავუშვათ, უმტყუნა ნერვებმა ე. შევარდნაძეს და მართლაც გადადგა (პროვინციულ გროზნოზე უკეთეს ადგილს ნამდვილად მონახავს საცხოვრებლად), ვინ დაიკავებს მის ადგილს? აქ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, გაუქმდება თუ არა მისი თანამდებობა. „შეურიგებელი“ ოპოზიცია თავისი წრიდან გვთავაზობს ლიდერს, შეიძლება სხვა წოდებით, მაგრამ მთავარი და პრინციპული ხომ აქ ის არის, რომ მთელი ხელისუფლების შეცვლაა ჩაფიქრებული. ჩაფიქრებული, მაგრამ შედეგებით გაუთვლელი და ესაა ყველაზე საშიში.

...ვისაც პოლიტიკოსობის ოდნავი პრეტენზია მაინც აქვს, უნდა აღიაროს, რომ ზნეობრივი პოლიტიკა მუდამ ვერ არის უნისონში სახელმწიფო პოლიტიკასთან. რასაკვირველია, უზნეობა იყო უ. ჩერჩილის მხრიდან ომის დღეებში მშვიდობიანი კოვენტრის გაწირვა. შეეძლო მას ქალაქის გადარჩენა, მაგრამ არ გააკეთა ეს და გერმანიის ავიაციამ მიწასთან გაასწორა მშვენიერი ქალაქი (ამიტომაც გახდა შემდგომში სტალინგრადთან დამძობილებული). ბრიტანეთის პრემიერმა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო ეს მძიმე გადაწყვეტილება. ასეთი მაგალითი უამრავია დიდ პოლიტიკაში, იქ, სადაც მთავარი პრიორიტეტი სახელმწიფოს ინტერესებია და არა პარტიათა და ცალკეულ ლიდერთა.

თუ მხოლოდ ზნეობრივი პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება მართლაც გამართლებული იყოს დეკემბერ-იანვრის მოვლენებისა და ძველი ხელისუფლების ძალით დამხობის ფაქტის დაგმობა, რასაც პრინციპულად მოითხოვს რადიკალური ოპოზიციის დიდი ნაწილი. შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ ასეთი პოზიცია მას ძალას მატებს, ძალადობის დაგმობა ხომ ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტიცაა და ვინც ამის წინააღმდეგია, ის ძალადობის მომხრედაც შეიძლება მონათლო. ეს ზოგადად, კონკრეტულად? სადაც „ა“-ს იტყვი, იქ „ბ“-ც უნდა მიაყოლო — თუ უსამართლობას (ე. ი. ძალადობას) გმობ, სამართლიანობა უნდა აღადგინო. ეს კი არც მეტი, არც ნაკლები, ხელისუფლების შეცვლაა. აქედანვე ცნობილი შედეგების მთელი ბუკეტით. აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი! რატომ არ უჭერს მხარს ამ იდეას რადიკალური ოპოზიციის ისეთი აქტიური წარმომადგენელი, როგორიცაა ბ. კაკუბავაა? (ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ტელევიზიამ). მას მიაჩნია, რომ ეს კამპანია კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის პრობლემას, ე. ი. დეკემბერ-იანვრის მოვლენების დაგმობას, „კანონიერი“ ხელისუფლების აღდგენას, ე. შევარდნაძის გადადგომას არაფერი სასიკეთო არ მოყვება აფხაზეთისათვის ბრძოლის თვალსაზრისით — აი რას თვლის ფაქტობრივად ბ. კაკუბავა და სწორიც არის.

ამ დღეებში პრესამ კიდევ ერთი ახალი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის (საქართველოს თავისუფლების პარტიის) დოკუმენტი გამოაქვეყნა. პარტია „გახლეჩილი ერის“ გაერთიანების თავის რეცეპტს გვთავაზობს. საყოველთაო თანხმობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა „ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა“ ყოფილა. შეიძლება ასეთი „თავისუფალი აზროვნება“? სად, როდის გინახავთ, რომ ხელისუფლების არაკანონიერი გზით შეცვლის ბაზაზე გაერთიანებულიყოს „გახლეჩილი ერი?“ ისიც ცალკე თემაა, რომ ერის გამთლიანებისა, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისათვის ასეთი „ორიგინალური“ გზით მებრძოლთა ბანაკში არცერთი არაა დედა ტერეზა, ყველამ გაიხსენოს თავისი გუშინდელი საქციელი!

ობიექტურობა იმის თქმასაც მოითხოვს, რომ დღევანდელი ქართული რადიკალური ოპოზიციის ძალის მთავარი წყარო ხელისუფლების სისუსტეა; უმწვავესი კრიმინოგენული სიტუაცია, სადაც, თვით ფუშეც რომ გააცოცხლო, ისიც კი ვერ დაადგენს, სად მთავრდება ტრივიალური ქურდბაცაცობა და იწყება სახელმწიფოს მასშტაბური ძარცვა, უხელფასო შრომა, მსოფლიოს კმაყოფაზე გადასული ქვეყანა, უხეში შეცდომები საკადრო პოლიტიკაში, სენსაციური ბრალდებები ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენელთა და უმაღლეს მმართველობასთან ახლოს მდგომ პირთა მისამართით, რომელთაც არც არავინ უარყოფს დამაჯერებლად და არც არავინ ხდის ადეკვატური რეაგირების საგნად. სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, მარტო ეს არ კმარა იმისათვის, რომ ოპოზიციამ (თუ მასაც ერთი ადგილი არ აქვს „სველი“) ბარიკადებსა და დესტაბილიზაციაზე კი არ იფიქროს, არამედ მთელ მსოფლიოში მიღებული წესით ამხილოს მთავრობა და ასე განიმტკიცოს პოლიტიკური პოზიციები?

საოცარია პირდაპირ. ყველას ხალხი და ქვეყანა აკერია პირზე და არ კი სურთ ამ ხალხის აზრის გაიგონ ბოლომდე. მილიონნახევრიან ქალაქში, მიტინგზე თუ 3-5 ათასი ადამიანი შეკრიბე, ეს არის მთელი ქართველი ერის მანდატი? კომუნისტებმა, რომ ხვალ უფრო მეტი კაცი გამოიყვანონ ქუჩაში (რაც გამორიცხული არ არის!), დაეპატრონონ არჩევნების გარეშე მათი ხელისუფლება? ყველამ ვიცით, რატომ და როგორ მოხვდნენ პარლამენტში ამალა-პარტიების წარმომადგენლები. რატომ არ სურთ სამომავლოდ (ახალ არჩევნებში) გამოიყენონ ეს უნიკალური გარემოება და ნორმალური პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებით გააფართოონ თავიანთი მწირი საარჩევნო ბაზა? თუ მართლაც ხალხის მტერი და ქვეყნის დამაქცევარია სახელმწიფოს მეთაური და მთელი ხელისუფლება, არჩევნებამდე დარჩენილ დროში ხომ უკვე ყოველი ამომრჩევლისათვის გახდება ცნობილი ის დანაშაულობანი, რასაც დღეს, დავუშვათ, საზოგადოების ერთი ნაწილი ხედავს? ამ მოკლე პერიოდში რა მოხდება იმაზე უარესი, რასაც ი. ჭავჭავაძის საზოგადოება გვპირდება სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის შემთხვევაში? რატომ არ სურთ დაელოდონ არჩევნებს?

...ყოველივე ზემოთ ნათქვამი არც აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე განაცხადია, არც ნიშნის მოგება და არც ბოროტი ქირქილი. გულწრფელად მსურს ჩვენშიც არსებობდეს ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც დღე და ღამ კრიჭაში ედგება ხელისუფლებას და ყველა საკვანძო საკითხში საკუთარი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ექნება. თუ ვინმეს მართლაც დანაშაულად მიაჩნია, ვთქვათ, აფხაზეთთან მიმართებაში ოფიციალური კურსი, ნუ შემოიფარგლება ფაქტების შიშველი კონსტატაციით და გამოიტანოს ხალხის სამსჯავროზე აფხაზეთის დაბრუნების ოპტიმალური ვარიანტები, ოღონდ დამაჯერებელი, თორემ ლოთი ქობალიას ძმაც იფიცება — ლოთი 2 ათასი კაცით დაიბრუნებდა აფხაზეთს, რომ ელაითო. ვის სჯერა დღეს მისი?

ყველა მოვალეა თვალი გაუსწოროს რეალობას — თავისუფლება და სრული დამოუკიდებლობა, საერთო კეთილდღეობის გარანტად უნდა იქცეს და არა შემთილის ნგრევისა და დაუსრულებელი მსხვერპლისა. დაბოლოს, ნუღარავის ჰგონია, რომ უკრაინელებსა და ბელორუსებს ქართველებზე ნაკლებად უყვართ თავიანთი სამშობლო. ამაზეც იფიქროს ოპოზიციამ. რამეთუ ჩემი ღრმა რწმენით ვერსად გაექცევიან რიგგარეშე თუ რიგით არჩევნებს, ხალხი მათ არ გაჰყვება ბარიკადებზე.

სოსო ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტომატიანე

ზენობანში, ნოდარ დუმბაძესთან...

სტუმრობა ის იყო, გახსენება რომ ერქვა, პატივისცემაც და უკვდავებაც: მარადისობის კანონის მიმჩენი მწერლის მარადისობაში გადასვლის კიდევ ერთი ნიშანი იყო ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი.

ზეიმს ერქვა ხალხის სიყვარული და იყო ერთიანობა საქართველოსი.

●

სურათებზე. სახლ-მუზეუმის ხედი; სტუმარ-მასპინძლები მიტინგზე; საქართველოს პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია „სტუმართა წიგნში“ პირველ შთაბეჭდილებას წერს; მწერლის სიტყვა — გურამ ფანჯიკიძე ზეიმზე გამოსვლისას.

იოსებ დავითაშვილის ფოტო. საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ჩრდილოეთ კავკასია

ჩეჩნეთში მოელიან საყოველთაო მობილიზაციას

მოელიან, რომ ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევი საყოველთაო მობილიზაციას გამოაცხადებს, რაც ფაქტობრივად სამხედრო წესების შემოღებას ნიშნავს. გენერალ დუდაევის დაახლოებული წყაროს მტკიცებით, ეს მოხდება ოთხშაბათს დამთავრებული ჩეჩენი ერის ყრილობის რეზოლუციის შესაბამისად. ამ ყრილობაზე, რომელმაც მკაცრად დაგმო ჩეჩნეთის ოპოზიციის მოქმედება, იმავე წყაროს ინფორმაციით, მონაწილეობდა ჩეჩნეთის ყველა რაიონიდან, მათ შორის — ამბოხებული ნადტერეჩნის რაიონიდან ჩამოსული ათას ხუთასი დელეგატი.

იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ ყრილობის დამთავრებიდან უკვე საათნახევრის შემდეგ დუდაევის კაბინეტში გამოიძახეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის წევრები სრული შემადგენლობით. 11 აგვისტოსათვის დანიშნული იყო ყველა საჯარისო ქვეგანაყოფის მეთაურთა საერთო შეკრება. როგორც ჩანს, გამოცხადდება ბრძანებულება ჩეჩნეთის რესპუბლიკის მამაკაცი მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაციის შესახებ.

ოთხშაბათს ჩეჩენი ერის ყრილობის დელეგატებს დაევალათ, რომ თავიანთ რაიონებში დაეხმარონ პრეფექტებს ადგილებზე მოლაშქრეთა, თავდაცვის რაზმების შედგენაში, მოსახლეობის შეიარაღებასა და თავდაცვის ხაზების მშენებლობაში.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევს ოთხშაბათს გროზნოში დამთავრებულმა ჩეჩენი ხალხის ყრილობამ მიანიჭა „უფლებამოსილებანი გამოიყენოს ნებისმიერი ძალისმიერი ღონისძიებანი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ყოველ რეგიონში ნებისმიერი ძალების მონაწილეობით“. ეს გადაწყვეტილება, ნათქვამია იტარ-ტასში გადაცემულ ყრილობის რეზოლუციაში, მიიღეს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგებისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის“. ჩეჩნეთის პრეზიდენტს დაევალა გამოაცხადოს მოქალაქეთა საყოველთაო მობილიზაცია „სამშობლოს დასაცავად“. ოპოზიციური ნადტერეჩნის რაიონი გამოცხადებულია საგანგებო ვითარების ზონად. დროებითი საბჭოს ორგანიზატორებს ტერეჩნის რაიონში ყრილობამ დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი „ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ტერორისტული საქმიანობისათვის“.

როგორც იტარ-ტასს ჩეჩნეთის პრესისა და ინფორმაციის მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა აცნობა, ყრილობის შემაჯამებელი რეზოლუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „წარმოებს რუსეთის ფედერაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და რუსეთის ხელმძღვანელობის მასირებული ინფორმაციული დივერსიები და რუსეთის სპეცსამსახურები აშკარად ერევიან ჩეჩნეთის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში“.

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა მინისტრმა, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას „მტკიცე პროტესტი განუცხადეს. ყრილობამ როგორც უდუგოვმა თქვა, „საერთოეროვნული წყევლა-კრულვა და ზიზღი“ გამოუცხადა ოპოზიციის წარმომადგენლებს — „ხასბულატოვს, ზავგაევს, ხაჯიევს, ბუგაევსა და მათ დამქაშებს“. დუდაევის ერთგულ მთავრობის ორგანოებს მიეცათ დავალება პასუხი აგებინონ პირებს, „რომლებსაც ბრალად ედებათ დანაშაული ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ“.

ყრილობამ, კერძოდ, მიიღო გადაწყვეტილება „ხასბულატოვი გამოაცხადონ ჩეჩენი ხალხის სახელმწიფო დამოუკიდებლობის მტრად და სიკვდილის შემდეგ აკრძალონ მისი დაკრძალვა ჩეჩნეთის წმიდათაწმიდა მიწაში“. ყრილობამ აგრეთვე მოსთხოვა პრეზიდენტ დუდაევს „დაუყოვნებლივ გააძევოს ხასბულატოვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ფარგლებიდან“.

ყრილობაზე გამოსულმა ჯოხარ დუდაევმა ერთხელ კიდევ დასდო ბრალად რუსეთის ხელმძღვანელობას „ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე სისხლისღვრის ახალი კერის გაღვივების მცდელობაში“. მან განაცხადა, რომ „ჩეჩენი ხალხი გამოიყენებს ნებისმიერ საშუალებებს ჩეჩნეთის სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად“.

ყრილობამ მუშაობა საყოველთაო კოლექტიური ლოცვით დაამთავრა.

ოპოზიციური „ეროვნული აღორძინების“ მთავრობის განცხადება

პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევის რეჟიმისადმი ოპოზიციურმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ეროვნული აღორძინების მთავრობამ ოთხშაბათს გამოაქვეყნა საპროგრამო განცხადება. განცხადებაში, კერძოდ ნათქვამია, რომ მთავრობა მთლიანად უწევს ანგარიშს, რომ თავის მოვალეობათა შესრულებას იწყებს „საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა კრიზისის, დამნაშავეობის მეტისმეტი გამწვავებისა და დუდაევის დანაშაულებრივი რეჟიმის კორუმპირებული ზედაფენის ზღაპრულად გამდიდრების ფონზე ხალხის უაღრესი გაღატაკების პირობებში“.

მთავრობა, ხაზგასმულია განცხადებაში, ამოცანად ისახავს აღორძინოს რესპუბლიკა, შექმნას საზოგადოების დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური გაჯანსაღების საფუძვლები, გადაჭრით ებრძოლოს კორუფციასა და დამნაშავეობას.

ეროვნული აღორძინების მთავრობას თავის ამოცანად მიაჩნია დაამკვიდროს ჩეჩენი ხალხის ზნეობრივ-ეთიკური ნორმები, კულტურისა და ეროვნული ხელოვნების ფართო განვითარების მეშვეობით, ამ საქმიანობაში ჩააბას სულიერი ლიდერები, მეცნიერები — იმამები და უხუცესები.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოამზადოს და მოაწყოს ფართო დემოკრატიულ საფუძველზე საკანონმდებლო კრების თავისუფალი არჩევნები და რეფერენდუმი საზოგადოების ფუძემდებელ პრობლემებზე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა
და სამართლის ინსტიტუტთან არსებული

თბილისის ჰუმანიტარული
ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო
წლისათვის დღის სწავლების
შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. იურიდიული - „სამართლისმცოდნეობა“;
2. ეკონომიკის - „საბაზრო ეკონომიკა და ბიზნესი“;
„წარმოების ეკონომიკა და მართვა“;
3. სოციოლოგიის - „სოციოლოგია“.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ
შემდეგ დისციპლინებში:

იურიდიულ ფაკულტეტზე:
„ქართული ენა და ლიტერატურა“ (წერა);
„სამართლისმცოდნეობა“ (ზეპირი).
ეკონომიკისა და სოციოლოგიის ფაკულტეტებზე:
„ქართული ენა და ლიტერატურა“ (წერა);
„საქართველოს ისტორია“ (ზეპირი).

ინსტიტუტში სტუდენტებად მიიღებიან საშუალო და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პირები ასაკის შეუზღუდავად. ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

აბიტურიენტებმა, განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი (დანართთან ერთად); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); ფოტოსურათი ზომით 3X4.

პასპორტისა და სამხედრო მოწმობის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისას, ხოლო პასპორტის და საგამოცდო ფურცლისა გამოცდებზე გასვლის დროს.

განცხადებები მიიღება 26 აგვისტომდე, ყოველდღე, გარდა კვირისა, 11-00 საათიდან 16-00 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 27 და 30 აგვისტოს.

სწავლა დაიწყება 12 სექტემბერს.

ინსტიტუტში აბიტურიენტების ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით. გამოცდები ჩატარდება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული მისაღები გამოცდების პროგრამებით. ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციასთან დაკავშირებით აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 3 ამერიკული დოლარის ეკვივალენტური ფულადი ერთეული.

ღია კარის დღე მოეწყობა 25 აგვისტოს 13-00 საათზე. ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

ინსტიტუტის მისამართია:
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. № 34ა,
101-ე საშ. სკოლა. მეტრო „დელისი“.
საკონტ. ტელეფონები:
39-59-64, 39-54-17; 39-44-94.

მიმღები კომისია.

სარედაქციო ფოსტიდან

იკეთე იმარჯვებს

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესს რომ ვუყურებდით ოძველს, ღრმად გვჯეროდა, რომ კონგრესს ფინანსური პრობლემები არ ექნებოდა. მართლაც წარმოიდგენდა, რომ ქართველ ბიზნესმენთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთა საქართველოს კეთილდღეობისთვის, როგორც იტყვიან ხოლო როიოდე გროშის გაღება დაენანებოდათ. ერთმა ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა გვითხრა: დაარწმუნეთ თქვენი საქმიანობის მართლიანობაში და მზად ვარ ლში ამოგიდგეთო. არ ვიცი რაღა გავაკეთოთ, რომ ბატონი ურწმუნო თომა დავარწმუნოთ. წესდებაში სიტყვა-სიტყვით წერია: „კონგრესის უმაღლესი მიზანი ქართველი ერის გამთლიანება-გაერთიანებაა. ამაში შინაეროვნული ჰარმონიის აღდგენა-განმტკიცებასთან ერთად იგულისხმება საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა გაერთიანებაც და მათი დედასამშობლოსთან სხვადასხვა გზებითა და არხებით დაახლოება-დაკავშირება“.

სამწუხაროდ, ქართველი ბიზნესმენები მარტო ურწმუნო თომებისაგან როდი შედგება. თვალი არ დაუხამხამებია, მაგალითად, ის სანაოსნოს უფროსს ბატონ ვალერიან გეგიძეს, როცა მას 2000 დოლარი სთხოვეს ფერეიდანში კონგრესის დელეგაციის გასამგზავრებლად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩასატარებლად, ამ დღეებში საჭირო გახდა რამოდენიმე ათასი მანეთის შოვნა. ნუ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ მე მოსკოვში ტელეფონით მოვძებნე ბატონი შოთა მეგრელიშვილი, ქართველ ებრაელთა ელიტის უბრწყინვალესი წარმომადგენელი. მე ვიცოდი, რომ ბატონ შოთას ქართველთა ერთმა ჯგუფმა ფოთში მწარედ ატკინა გული, მაგრამ ვიცოდი რა მისი ბუნება და დამოკიდებულება იმ დიდი საქმისადმი, რომელსაც ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი ემსახურება, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე მივმართე ფულად დახმარებაზე.

— არა უგვიანეს ერთი კვირისა თქვენ მიიღებთ ერთ მილიონ რუსულ მანეთს თბილისში, — მიპასუხა მან.

ღმერთმა გვიმრავლოს ბატონ შოთა მეგრელიშვილის მსგავსი მეგობრები ისრაელსა და მთელ მსოფლიოში.

აკაკი ჩხარტიშვილი,
ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი.

უკრაინელი სტუმრები — ოზურგეთში

ოზურგეთში ჩამოვიდა უკრაინელი მეგობრების დელეგაცია. ამ მეგობრობას ორმოცდათხუთმეტი წლის ისტორია აქვს. პირველი ხიდი სოფელ შრომის კოლმეურნეობის მაშინდელმა ლეგენდარულმა თავმჯდომარემ მიხაკო ორაგველიძემ გადო ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოს კოლმეურნეობასთან.

და აი, ახლა კვლავ ჩამოვიდნენ ოზურგეთში უკრაინელი სტუმრები. მათ შემადგენლობაში იყვნენ საქართველოში უკრაინის საელჩოს მეორე მდივანი ვასილ მელნიკი, ხერსონის საოლქო ტელევიზიის რეჟისორი ბორის კერესელიძე, ამავე ტელევიზიის ოპერატორი ვლადიმერ სოგატი, ჟურნალისტები — ანატოლი ბარაჩუკი და ოლღა კერესელიძე.

სტუმრები შეხვდნენ რაიონის გამგებელს — კობა ხომერიკს და ქალაქის აქტივს.

ბეგლარ ჩხაიძე,
„სრ“ საკ. კორ.

აფხაზეთიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საყურადღებოდ!

თბილისის ცენტრალურ საფოსტო საწარმოში შემოდის აფხაზეთიდან ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და საწარმოთა ძირინდელ მისამართით სხვადასხვა სახის საფოსტო გზავნილები (წერილები, ბანდეროლები, ამანათები).

აღნიშნულ საფოსტო გზავნილების ადრესატზე გაცემის მიზნით კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და შემოსული საფოსტო გზავნილებანი გადაანაწილა აფხაზეთის რაიონების მიხედვით ქ. თბილისის კავშირგაბმულობის შემდეგ განყოფილებებზე:

1. კავშირგაბმულობის მე-2 განყოფილება — დავით აღმაშენებლის გამზირი № 44, ტელ.: 95-57-45.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ წარმოება-დაწესებულებათა ყველა სახის საფოსტო გზავნილები და მოსახლეობის სახელზე შემოსული ფასიანი წერილები, ბანდეროლები და ამანათები.

წერილობითი კორესპონდენცია მოსახლეობის მისამართით:

2. კავშირგაბმულობის მე-8 განყოფილება — ქ. წამებულის მოედანი 2, 74-16-67, — გალის რაიონი;
3. კავშირგაბმულობის მე-8 განყოფილება — რუსთაველის გამზირი 31, 99-96-40, ქ. სოხუმი;
4. კავშირგაბმულობის მე-12 განყოფილება — თამარ მეფის გამზირი 9, 95-57-82, — გულრიფშის რაიონი;
5. კავშირგაბმულობის მე-15 განყოფილება — ქ. გამსახურდიას გამზირი 2, 36-82-79, — ოჩამჩირეს რაიონი;
6. კავშირგაბმულობის 89-ე განყოფილება — ვაგზლის მოედანი, 2 რკინიგზის სადგურის შენობა, 96-25-97, — გუდაუთის რაიონი;
7. კავშირგაბმულობის 77-ე განყოფილება — ვაჟა ფშაველას 41, 39-89-79, — ტყვარჩელის რაიონი.
8. კავშირგაბმულობის 113-ე განყოფილება — ვაჟა ფშაველას 10, 37-29-88, — გაგრის რაიონი.

ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ და საწარმოთა პასუხისმგებელ პირებს ცნობების მისაღებად შეუძლიათ როგორც პირადად ადგილზე, ასე წერილობით მიმართონ შესაბამის კავშირგაბმულობის განყოფილებას.

კავშირგაბმულობის სამინისტრო.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ივნისის თვეში მიიღო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების უზრუნველმყოფი მთელი რიგი სამთავრობო გადაწყვეტილებები, კერძოდ: საქართველოს რესპუბლიკაში მიწების გამოყენებისა და აღრიცხვის, სამთავრობათაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების რეალიზაციის, საპაიო კომერციული შემნახველი ბანკის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს წილის განსაზღვრის, წყალზე გადასახადის განაკვეთების, საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტის გაცემის; საბაჟო საზღვარზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გადასახადებში დაბეგვრის წესის შესახებ და მრავალი სხვა.

ყოველ დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს გაეცნოს ზემოთ აღნიშნულ და სხვა სამთავრობო ნორმატიულ დოკუმენტებს, მიაკითხეთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 24, ტელ.: 22-87-05.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.

ახალი წიგნები

დროული ნაშრომი

მკითხველთა ფართო წრეს უთუოდ დაინტერესებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შესახებ ხულ ახლახან რუსულ ენაზე დასტამბული ნაშრომი „აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“ (ავტორები — გ. ჟორჟოლიანი, ლ. თოიძე, ს. ლეკიშვილი, ე. ხოშტარია-ბროსე. რედაქტორი — აკად. რ. მეტრეველი, რეცენზენტი — აკად. მ. ლორთქიფანიძე).

ბროშურაში, რომელიც გათვალისწინებულია ძირითადად უცხოელი მკითხველისთვის, განხილულია აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის ისტორია, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობა უძველესი დროიდან დღემდე. მოცემულია საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ანალიზი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი აფხაზეთის სტატუსს როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს (1918-1921 წწ.), ასევე საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათწლეულში (1921-31 წწ.), პასუხი აქვს გაცემული აფხაზი ავტორების მიერ გამოგონილ ანტიქართულ, ცილისწამებლურ და ყალბ დებულებებს ე. წ. „საქართველოს ხელისუფლების ასიმილატორული პოლიტიკისა“ და „დემოგრაფიული ექსპანსიის“ შესახებ.

ნაშრომში მოცემულია უკანასკნელ წლებში აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზი, გამოყენებულია როგორც ქართველი და აფხაზი მეცნიერების, ასევე უცხოელი ავტორების ნაშრომები, მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტები და მასალები, ნაშრომს დართული აქვს სხვადასხვა წლებში აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ამსახველი ცხრილები და ცნობები აფხაზეთში ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ;

ბროშურა გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კვლევის ცენტრის მიერ. სამწუხაროდ იგი, ისე როგორც ამ ორი წლის წინ იმავე ცენტრის მიერ მომზადებული ნაშრომი ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, გამოიცა ერთობ მცირე ტირაჟით (1000 ეგზ.) სასურველია ორივე ეს ნაშრომი გამოიცეს ძირითად ევროპულ ენებზე.

სიმონ კილაძე,
საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი.

„რელიგია“ №1-2

გამოვიდა ჟურნალ „რელიგიის“ წლევანდელი გაერთიანებული პირველი-მეორე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია შემდეგი მასალები:

პოპულარული საუბრები — რწმენასა და ურწმუნოებაზე — კლაივ სტეიპლზ ლუისი — „ტანჯვა“ (გაგრძელება. თარგმნა ომარ გოგიჩაიშვილმა); **ეკლესიის ისტორია** — ჟაკ დეფორი, დენიზ პაპახრიზანტუ — „პირველი ქართველები ათონზე ბიზანტიური დოკუმენტების მიხედვით“ (ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა), ფელიქს დანელია — „საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა ეკლესიის კატასტროფაც იყო...“; **ფილოსოფია და რელიგია** — დავით გეგეშიძე — „რელიგიური ფილოსოფია (მიმდინარეობა და არსი), ირაკლი ბრაჭული — „ჰერმენევტიკა და თეოლოგია“, ალბერტ შტეველი — „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“ (გერმანულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ); **რელიგია და ლიტერატურა** — გოჩა კუჩუხიძე — „ქრისტიანული ხელდასხმის გზა იოვანე საბანისძის მიხედვით“, ფირუზ მეტრეველი — „აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ქრისტიანული კონცეფცია“; **ძველი მსოფლიო რელიგიები** — ეკატერინე კობახიძე — „ეტრუსკული რელიგია“; **სხვადასხვა** — ასმათ ჯიქია — „ქებათა ქების“ ახალი თარგმანი; ვლადიმერ სოლოვიოვის წერილი გრაფ ლევ ტოლსტოისადმი (თარგმნა ვიქტორ რცხილაძემ), ომარ მოსაშვილი — „ბიბლიური პერსონაჟები და ქართველები“...

კორპორაცია
მახარე
CORPORATION
MAKHARE

აგრძელებს სავალუტო კრედიტების მიღებას:
ერთი თვით — 20%
სამი თვით — 22-24%
ექვსი თვით — 23-28%

მისამართი: ფალიაშვილის 87.
შესასვლელი ვაკის პარკის მხრიდან, მეორე
სართული. ტელ.: 29-44-41.

აგრეთვე კორპორაციის მაღაზია „მირაჟში“
ალ. ჭავჭავაძის 7-ში, თქვენ შეგიძლიათ
შეიძინოთ ჩამოფასებული ევროპული
საქონელი ძალზე შეღავათიან ფასებში.
მობრძანდით და გაგახარებთ!
კორპორაცია მახარე

ყურადღება!

დემირელის
სახელობის კერძო
კოლეჯი

აგრძელებს
მოსწავლეთა
მიღებას
1994-95 სასწავლო
წლისათვის.

კოლეჯში მიიღებიან საქართველოს
ტერიტორიაზე მცხოვრები
ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების
5 კლასდამთავრებულები.
მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება
საკონკურსო შერჩევით:
კანდიდატები აბარებენ გამოცდას
მათემატიკაში (ტესტები) და,
წარმატების შემთხვევაში,
გაივლიან გასაუბრებას.
კონკურსის მონაწილეებმა უნდა
წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
1. მოწმობა მე-5 კლასში
ყოფაქცევისა და წარმატების
შესახებ;
2. დაბადების მოწმობის
ფოტოასლი;
3. ფოტოსურათი 3X4 ზომის,
2 ცალი;
4. განცხადება
(შეივსება ადგილზე).
საბუთების მიღება ყოველდღე ამა
წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

მისამართი: თბილისი,
გრიშაშვილის ქ. № 51
(ორთაჭალა),
ტელ.: 93-44-71.

იჩქარეთ!
თქვენს განკარგულებაში
მხოლოდ 10 დღეა!

არმიას — ახალი შევსება

საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მოწინავე ნაწილია ტყიბულის გელა გიორგაძის სახელობის გვარდიის ბატალიონი, რომელიც ქუთაისში დისლოცირებული 21-ე ბრიგადის შემადგენლობაში შედის. ამ ბატალიონმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი. ამ ბრძოლებს 15-ზე მეტმა ტყიბულელმა შესწირა საკუთარი სიცოცხლე. ბევრი მათგანის სახელი მიეკუთვნა ტყიბულის ქუჩებს, მათი ხსოვნის პატივსაცემად ხშირად იმართება ხსოვნის საღამოები. არც ადგილობრივი გაზეთები არიან ვალში. ბევრი რამ გაკეთდა მათი საფლავების კეთილმოწყობისა და დაღუპულთა ოჯახების დახმარების მიზნით.

ახლახან ტყიბულის ბატალიონში 21 წვევამდელი ჩაირიცხა.

გივი გეჩაძე.
„ხ[illegible]“ საკ. კორ.

დაუვიწყარი გიორგი ცაბაძე

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი. თელაველთა წინაშე წარსდგნენ თბილისიდან მოწვეული არტისტები — კომპოზიტორები ვაჟა აზარაშვილი, კახა ცაბაძე, გიორგი ცაბაძის შვილიშვილი ლევანიკო ცაბაძე, ანსამბლი „ორერა“, ქალთა ტრიო „ჰარმონია“, „თაიგული“, ვაჟთა ტრიო „სიმი“. მომღერლები — რობერტ ბარძიმაშვილი, მერაბ სეფაშვილი, ნუ[illegible] კაპანაძე, კონცერტმაისტერი ნუციკო ჯანელიძე, მათ დიდი ოსტატობით შეასრულეს დაუვიწყარი გიორგი ცაბაძის სიმღერები. გაიხსენეს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ყველასათვის საყვარელი, განუმეორებელი კომპოზიტორის შესახებ.

მარინა გემაზაშვილი.

იმედის მომცემი „იმედი“

„იმედი“ — ასე უწოდეს თავის ყოველკვირეულ გაზეთს აჭარის განათლებისა და კულტურის მუშაკებმა.

ეს გაზეთი, რომლის რედაქტორია ტარიელ ქათამაძე, „ფონენდოსკოპის“ ფუნქციას ასრულებს. მკითხველი მისი ხელში აღებისას გრძნობს განათლებისა და კულტურის მუშაკთა სისხლსავსე ცხოვრების მაჯისცემას.

პრობლემები და მისი გადაჭრის გზების ძიება, სიახლე და მიღწეული წარმატებები, პირველი მოკრძალებული პოეტური სტრიქონები და პირველი პროზაული ნაწარმოებები. ერთი სიტყვით, კულტურული ცხოვრების ყოველ „კუთხე-კუნჭულს“ ხვდება გაზეთის თვალი.

თემებისა და ჟანრების მრავალფეროვნება, ავტორთა პროფესიონალიზმი, მხატვრული გაფორმება იზიდავს მკითხველს და თაყვანისმცემლებს უმრავლებს გაზეთს, რომლის მიზანია მშვიდობის, პატრიოტიზმის, ზნეკეთილობის, ერთობის პროპაგანდა.

მაკა ჭედია.

ფირმა „შატილის“ ლუდი

უახლოეს ხანში მოქალაქეთათვის ლუდის მიწოდებასთან დაკავშირებული შეფერხებები მოსალოდნელი არ არის, უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სამრეწველო-კომერციული ფირმა „შატილის“ პრეზიდენტმა გურამ ჯაიანმა. ეს ფირმა აწარმოებს ამ სახელს. როგორც მან თქვა, უკრაინიდან და ყაზახეთიდან, რომლებთანაც ფირმას მრავალი წლის თანამშრომლობა აკავშირებს, ჩამოვიდა ალაო — ლუდის წარმოების ძირითადი კომპონენტის პარტია, რაც გაახანგრძლივებს გვიან შემოდგომამდე საწარმოო კონვეიერების ფუნქციონირებას.

როგორც პრეზიდენტმა გვითხრა, უკანასკნელ ხანს ფირმა უშვებს უკეთესი ხარისხის ლუდს, ვიდრე წარსულში. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ წლევანდელ სეზონში მოძველებული სეპარატორები შეიცვალა ახლებით — დიატომიტურით. ამის შედეგად გაუმჯობესდა ფილტრაციის პროცესი, ამაღლდა გაზით გაჯერებულობა.

ეს საქართველოს [illegible]

რესპუბლიკაში ყოველ 1000 სულ მოსახლეზე 5-6 კაცს ესაჭიროება კარდიოქირურგიული ოპერაცია, მათ შორის ნახევარს — ღია გულზე სისხლის ხელოვნური მიმოქცევის პირობებში.

1988 წელს სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, თბილისში, ქირურგიის ინსტიტუტის ბაზაზე (დიღმის მასივი, ჭიაურელის № 1) შეიქმნა კარდიოქირურგიული ცენტრი 50 საწოლით, საოპერაციოთი, რეანიმაციური დარბაზით, ამერიკული, გერმანული, ფინური წარმოების აუცილებელი აპარატურით. ცენტრში მუშაობენ გამოცდილი ქირურგები, ანესთეზიოლოგები, პერფუზიოლოგები, კარდიოლოგები, რომელთაგან 4 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 8 მეცნიერებათა კანდიდატია და რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც მომზადებულია რუსეთის (მოსკოვის ბაკულევისა და ვიშნევსკის სახელობის ტრანსპლანტალოგიის ინსტიტუტები), აშშ-ის (დებორა-ცენტრი), პოლონეთის (ზაბჟეს კარდიოქირურგიული კლინიკა), გერმანიის (ლაიფციგის ცენტრი) წამყვან კლინიკებში, მათ საკუთარი ძალებით აითვისეს და კლინიკაში დანერგეს მრავალი ახალი ტიპის ოპერაცია; სარქვლოვანი აპარატის პროტეზირება, რთული თანდაყოლილი მანკების, კორექცია, აორტა-კორონალური შუნტირება და სხვ., რაც ქართული კარდიოლოგიის უდავო მიღწევაა. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის კარდიოქირურგიული ცენტრი, ან გნებავთ მას ქირურგიის ინსტიტუტის კარდიოქირურგიული განყოფილება ვუწოდოთ, ამ პროფილის ერთადერთი კლინიკაა მთელს ამიერ და იმიერ კავკასიაში, რუსეთის სამხრეთ ოლქებსა და თურქეთის მეზობელ რაიონებში. მხოლოდ აქ არსებული ბაზა, კადრები და გამოცდილება იძლევა ასეთი ურთულესი ოპერაციების გაკეთების საშუალებას (წელიწადში კი აქ 250-მდე ოპერაცია კეთდება)...

ასე წვრილად იმიტომ ჩამოვთვალით, რესპუბლიკის საზოგადოებრიობას ვამცნოთ, რომ უსახსრობის გამო ეს უძვირფასესი სამედიცინო ცენტრი დახურვის საშიშროების წინაშე დგას და გავისიგრძეგანოთ ის შედეგები, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს — დაიკარგება უზარმაზარი სამედიცინო ინტელექტი, რომელსაც რამდენიმე თაობა აყალიბებდა და უახლოეს 10-15 წლიწადში მისი აღდგენის შესაძლებლობა აღარ იქნება.

ქართული კარდიოქირურგია საფრთხეშია!

კარდიოქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელმა, კარდიოქირურგიის ეროვნული ფონდის პრეზიდენტმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვიქტორ გეტმანსკიმ გამაცნო ცენტრის მუშაკთა მოსაზრება კარდიოქირურგიის გადარჩენისა და განვითარებისათვის საჭირო დაფინანსების წყაროებზე:

კარდიოქირურგიის ცენტრი დარჩეს სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებაზე, რათა სათანადო უსასყიდლო დახმარება გაუწიოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს — მეორე მსოფლიო და ავღანეთის ომების, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ინვალიდებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს, მრავალშვილიან დედებს, ლტოლვილებსა და მედიცინის მუშაკებს;

მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის მომსახურება გახდეს ფასიანი;

კარდიოქირურგიის ცენტრს მიეცეს უცხოეთის მოქალაქეთა ფასიანი მომსახურების უფლება;

ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის შედგენისას გათვალისწინებული იქნეს კარდიოქირურგიის ცენტრის მოთხოვნილებები.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება გადაარჩენს ცენტრს? — ვკითხე ბატონ ვიქტორს.

— [illegible] არსებობის საშუალებას მაინც მისცემს! შარშან ჩამოვაყალიბეთ კარდიოქირურგიის ეროვნული ფონდი (საქექსიმბანკი, სავალუტო № 67081503, საკუპონე № 700005566, კოდი 805227), მაგრამ რამდენი უნდა შემოგვწირონ კერძო პირებმა ან საწარმო-ორგანიზაციებმა, ცოტათი მაინც რომ დავიკმაყოფილოთ მოთხოვნილება, თუნდაც წამლებზე?!

— ოპერაციები დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული?

— ყოველ ოპერაციაზე, განსაკუთრებით სისხლის ხელოვნური მიმოქცევის პირობებში, იხარჯება დიდი რაოდენობით შესახვევი მასალა, სისხლი და სისხლის შემცვლელი პრეპარატები, ფართო სპექტრის ანტიბიოტიკები, სანარკოზე საშუალებანი, მაშინ, როცა ერთი ფლაკონი (200 მლ) სისხლი 25000, ხოლო 1 გრამი ცეფალოსპორინის რიგის ანტიბიოტიკი 8000 რუბლი ღირს, აღარაფერს ვიტყვი ერთჯერად ოქსიგენერატორებსა და გულის ხელოვნურ სარქველებზე, რომელთა შეძენა მხოლოდ კონვერტირებადი ვალუტით არის შესაძლებელი. უბრალო მათემატიკურმა გამოთვლამ გვიჩვენა, რომ, თუმცა უცხოეთის კლინიკებთან შედარებით მოკრძალებულ დანახარჯებთან გვაქვს საქმე, ეს თანხა 1500-1700 დოლარს შეადგენს, სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურების ჩაუთვლელად.

— მაგრამ ეს თანხა ხომ მიუწვდომელია ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის...

— მართალი ხართ! მაგრამ იცით, რომ გულის ქირურგია მთელ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულია? მისი ფასი სხვადასხვა ქვეყნებში 25000 — 150000 დოლარის ფარგლებში მერყეობს, მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში 10-12 მილიონი რუბლია. თუ ამას გზის ხარჯებსაც დავუმატებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა რაოდენობის თანხა გავა რესპუბლიკიდან, ყველა ავადმყოფი სამკურნალოდ საზღვარგარეთ რომ გავემგზავროს. გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს გავრცელების მიხედვით პირველი ადგილი უკავია. გულის სხვადასხვა პათოლოგიით შეპყრობილთა შორის ყოველი მე-15 ქირურგიულია. ჩვენი პაციენტების ნაწილი („ლურჯი“ თანდაყოლილი მანკები ციანოზურქოშინითი შეტევებით, მიტრალური მანკი ფილტვის მწვავე შეშუპებით, მათ შორის — ორსულებში, [illegible] ჩვენი კლინიკის საქმიანობის შეფერხების პირობებშიც კი ბედის ანაბარა [illegible] ის ავადმყოფებიც, რომელთა ოპერირებაც სასიცოცხლო ჩვენებით არის აუცილებელი. კარდიოქირურგიული სამსახურის არარსებობის ან არასრულფასოვანი არსებობის (ოპერაციების შეზღუდული რაოდენობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო) პირობებში დაავადებულთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, რასაც თან ახლავს ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდა და მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება.

— თქვენ უცხოეთის მოქალაქეთა ფასიანი მომსახურების უფლებას ითხოვთ. მიგაჩნიათ, რომ თბილისის კარდიოქირურგიის ცენტრი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს?

— ამ პროფილის სხვა კლინიკებს არაფრით ჩამოვრჩებით. ჩვენ გულის ტრანსპლანტაცია ძალგვიძს. უცხოელ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსურ მოგებას მოგვცემს. ოღონდ ერთი კია, მხოლოდ თვითდაფინანსების ამარა ისეთი ძვირადღირებული დარგის დატოვება, როგორიც კარდიოქირურგიაა, ფაქტობრივად, მისი დასაღუპად გაწირვაა. ამ პროფილის ვერც ერთი კლინიკა მსოფლიოში თავისთავს ვერ უზრუნველყოფს ფინანსურად. ერთდროულად უნდა ავამოქმედოთ რამდენიმე მექანიზმი: სახელმწიფო ბიუჯეტი, სპონსორების ინსტიტუტი, კომერციული საქმიანობა, ამიტომ ვითხოვთ მთავრობის დახმარებას. ჩვენი მოსაზრებები წარდგენილი გვაქვს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში. ჯერჯერობით, გამოხმაურება არ მოგვსვლია. დრო კი არ ითმენს.

განსაცდელის წინაშე დგას ქართული კარდიოქირურგია. რესპუბლიკის მთავრობამ, პარლამენტმა, ჯანდაცვის სამინისტრომ, მთელმა საზოგადოებრიობამ უნდა შეისმინონ კარდიოქირურგიის ცენტრის მუშაკთა ხმა — თხოვნისა, დახმარებისა, მომავალზე ზრუნვისა. ქართულმა კარდიოქირურგიამ უნდა იარსებოს და არა მხოლოდ იარსებოს, უნდა განვითარდეს და შეუფერხებლად ემსახუროს ხალხს!

ალექსანდრე ალექსიძე.



სურათებზე: თბილისის კარდიოქირურგიის ცენტრში — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ქირურგი კ. ბესელია აფხაზეთიდან ლტოლვილ ვ. მიქაიასთან, რომელსაც უფასოდ გაუკეთეს გულის ურთულესი ოპერაცია (ზემოთ მარჯვნივ), 8 წლის თამუნა ქავთარაძე, რომელსაც ახლახანს წარმატებით გაუკეთეს გულის მანკის ოპერაცია (მარცხნივ), ავადმყოფი გაჰყავთ ოპერაციაზე (ქვემოთ მარჯვნივ), რეანიმაციის განყოფილება (მარცხნივ).

სიმონ კილაძის ფოტო.

ჯანმრთელობის სამსახურში

ახალი, სამკურნალო...

ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებში თბილისში არსებობდა ფუნქციურ-ნერვულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის მუშაობა, მაშინდელი სამედიცინო მეცნიერებისაგან განსხვავებით, დაფუძნებული იყო ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, მთლიანობაში აღქმის პრინციპზე.

ინსტიტუტი იმდენად განსხვავდებოდა მედიცინაში თავისი ორიგინალური მიდგომით, რომ იმთავითვე იზიდავდა ყველას, ვინც ამგვარი აზროვნებით გამოირჩეოდა. მასთან წარმატებით თანამშრომლობდნენ ქართული მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ნევროპათოლოგი პ. ქავთარაძე, თერაპევტი ა. ალადაშვილი, ფსიქოლოგი დ. უზნაძე, მორფოლოგი ა. ნათიშვილი, ლოგოპედი გ. ახვლედიანი, ჰიგიენისტი გ. შენგელია და ბევრი სხვა.

ფუნქციურ-ნერვულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა ა. გოცირიძე, თავისი ექსტრაორდინარული მიდგომით, იდეებითა და პრინციპებით იმჟამად პრეცედენტი არ ჰყავდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ მთელს მსოფლიოში. ამიტომაც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მის მოღვაწეობას საბჭოთა მედიცინის მნათობნი ვ. ოსიპოვი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. მხოლოდ ბოლო წლებში გამოჩნდა უცხოეთის ზოგიერთი სამეცნიერო სკოლა, სადაც უკუგდებულია ტრადიციული შეხედულებანი, მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს დასავლეთში მკურნალობის საკითხებისადმი ამგვარი მიდგომა.

მაინც, რაში მდგომარეობდა ინსტიტუტის უმთავრესი, უნიკალური იდეა, რითაც მან ასერიგად მიიპყრო ყურადღება?

ა. გოცირიძე წერდა, რომ ფრიად სასარგებლო იქნებოდა ფუნქციურ დაავადებებს თავისი დამოუკიდებელი ადგილი მისჩენოდათ მედიცინაში, რომ მათ აქვთ ამის უფლება თუნდაც თავისი ფართო გავრცელებისა და მავნებლობის გამო, აქვთ უფლება თავისი [illegible] და სამკურნალო მეთოდების თავისებურების გამო. დაბოლოს, აქვთ უფლება თავისი ძირითადი ბუნების თავისებურების გამო, რომელიც განირჩევა როგორც ორგანულ-დესტრუქციული, ასევე სულით დაავადებებისაგან. ასე, არც მეტი, არც ნაკლები, ინსტიტუტი გახდა პიონერი მთელს მსოფლიოში, რომელმაც გამოყო ფუნქციური მოშლილობები მედიცინის ცალკე დარგად, დაიწყო მათი კომპლექსური კვლევა, შეიმუშავა მკურნალობის ძირითადი პრინციპები და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

საერთოდ, დაავადების გამოვლინება მრავალფეროვანია და ძირითადად სუბიექტურ და ობიექტურ ცვლილებებში ჰპოვებს გამოხატულებას. როცა საქმე გვაქვს ორგანიზმის ორგანულ-დესტრუქციულ დაზიანებასთან, ხშირ შემთხვევაში სუბიექტური შეგრძნებები სუსტად არის გამოხატული და ნაკლებად აწუხებს ავადმყოფს. სხვა დროს კი, როცა დაავადება ფუნქციური ხასიათისაა, მისი სუბიექტური გამოხატულება შეიძლება იმდენად შემაწუხებელი და მტანჯველი იყოს, რომ ავადმყოფი იძულებულია ექიმს მიმართოს. სწორედ ასეთი ავადმყოფებით არის სავსე დღევანდელი პოლიკლინიკები და სადიაგნოსტიკო კაბინეტები. უამრავი ჩივილი. ხშირად უცნაური, აუხსნელი, გაუგებარი, ობიექტური გამოკვლევით კი სრულიად უმნიშვნელო ან საერთოდ, არანაირი ცვლილებები. დადიან ეს ავადმყოფები სხვადასხვა სპეციალისტებთან, ელიან მათ წუხილის დამადასტურებელ დიაგნოზს, ითხოვენ შველას. ზოგჯერ სიმპტომატური მკურნალობა მათ დროებით შვებას ანიჭებს. ზოგჯერ — პირიქით. კარგავენ იმედს, რწმენას და მიდიან ექიმბაშებთან, ექსტრასენსებთან. ზოგ შემთხვევაში მათთან მეტ შვებას გრძნობენ, მაგრამ მაინც დროებით. ექიმი მათ სხეულს მკურნალობს, ექიმბაში — სულს, ის მათ რწმენას უნერგავს. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. ამჟამად ძალზე მოდური ფსიქოთერაპიული სკოლის, ნეიროლინგვისტური პროგრამირების ფუძემდებელი ჯ. გრინდერი აღიარებს, რომ ადამიანის ფსიქიკაზე ეფექტიანი ზემოქმედების შემდეგაც შესაძლებელია დაავადებამ კვლავ იჩინოს თავი, იმის მიუხედავად, რომ გამომწვევი მიზეზი მოხსნილია, ინტრაფსიქიკური კონფლიქტი — გადაჭრილი. რატომ ხდება ასე?

ავიღოთ შესადარებლად უხეში, მაგრამ გასაგებად ადვილი და პათოლოგიური პროცესის მოდელად გამოსადეგი მაგალითი. დავუშვათ, ბავშვი სკამიდან ჩამოვარდა. ეტკინა, შეშინდა, დაშავდა. მისთვის სიტყვა „სკამი“ უკვე სხვა მნიშვნელობისაა, იმ ბავშვისგან განსხვავებით, რომელსაც ამგვარი გამოცდილება არ გააჩნია — ეს ფსიქიკურ დონეზე. ამიერიდან ის სკამთან მიმართებაში ფრთხილია, ნაკლებად მოქნილი, მის კუნთებში დარჩა ქრონიკული დაძაბულობის კვალი რეფლექსურ დონეზე, ნერვულ სისტემაში დაირღვა გამტარობა ან აგზნება-შეკავების პროცესებში წონასწორობა ნეირონულ დონეზე. დაბოლოს, ბავშვს გაეკაწრა ან დაებეჟა კანი — ესეც ფიზიკური დონეა, ყველგან დარჩა კვალი, აღმოცენდა პათოლოგიური ჯაჭვი. დრო გავიდა, ჭრილობა მოშუშდა, შიში გაქრა. მაგრამ დარჩა რაღაც, რაც კვლავ ასაზრდოებს პათოლოგიურ კერას, კვლავ ამრთელებს ჯაჭვს...

„ჩვენი ამოცანაა — უკუვაგდოთ სტატიკური მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი, რის შედეგადაც იბადებიან ისეთი სქემატური და განყენებული კონცეფციები, და დავეუფლოთ ცხოვრების სინამდვილისადმი დინამიკურ მიდგომას, — წერდა ქართული ფუნქციური სკოლის ფუძემდებელი ა. ი. გოცირიძე, — ეს ჩვენ გაგვითავისუფლებს ძალების უნაყოფო ხარჯვისაგან იმ შემთხვევებში, როცა უმართებულოდ ვეძებთ სხვადასხვა დაავადების ურყევ ფარგლებს მყარი ნოზოლოგიური ატრიბუტებით. პირველ ყოვლისა საჭიროა ძირშივე უკუვაგდოთ წარსული შედეგებიდან მომავალი მექანისტური, ატომისტური შეხედულება ჩვენი მეცნიერების ობიექტის — ადამიანისადმი“. — წერს ა. გოცირიძე და იქვე მოჰყავს გოეთეს სიტყვები: „ვისაც სურს რაიმე სულიერი არსება შეისწავლოს, ჯერ ამ არსებასა ჰკლავს, მერე მას ასო-ასო დაშლის, თუმცა, სამწუხაროდ, ამ სახით სასიცოცხლო კავშირს ვერ აღმოაჩენს“.

მართლაც, ფუნქციური მოშლილობები მოიცავს დაავადებათა საკმაოდ ფართო სპექტრს და ვლინდება როგორც ფსიქოემოციურ, ისე ფიზიკურ სფეროში. ეს მოშლილობები გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში და დასაბამს იღებს გარეგნულად შეუმჩნეველ, გაუცნობიერებელ სამსახურებრივ, ოჯახურ თუ შინაგან კონფლიქტებში. განსაკუთრებით ხშირია მათი გამოვლინება საქმიანი წრეების წარმომადგენლებში, იქ, სადაც არსებობს ინტელექტუალური, ემოციური და ფიზიკური გადაძაბვა, სტრესები, რისკთან დაკავშირებული, პასუხისმგებლური საქმიანობა.

უძილობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ადვილად დაღლა, ოფლიანობა, გამღიზიანებლობა, ჰაერის უკმარისობა, ფიზიკური და ემოციური დისკომფორტი, შფოთვა, შიშები, აკვიატება, დეპრესია, გულის ფრიალი, არტერიული წნევის მერყეობა, სპაზმები, კიდურების გაციება, კანკალი, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, მენსტრუაციისწინა დაძაბულობა, შაკიკი, სექსუალური დისფუნქციები კაცებშიც და ქალებშიც (სქესობრივი უძლურობა, სექსუალური დაუკმაყოფილებლობა, ურთიერთშეუთავსებლობა), ენაბორძიკი, ენურეზი, ენკოპრეზი, თმის ცვენა, ჭარბი წონა, ბრონქული ასთმა, ნეიროგენული კანის დაავადებები, ალერგიული რეაქციები — აი, ფუნქციურ მოშლილობათა გამოხატულების არასრული ჩამონათვალი.

იმის მიუხედავად, რომ ამგვარი მოშლილობები ძალზე ხშირია და გავრცელებული, ხოლო ნოზოლოგიური სახელწოდებების მიხედვით საკმაოდ ჭრელი — მათი მკურნალობის პრინციპები, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ძირითადში იდენტურია, რადგანაც მათი წარმოშობის ბუნება, როგორც ა. გოცირიძე აღნიშნავდა, „თავისებურობით გამოირჩევა“. ამიტომ ის არ მოითხოვს არც სხვადასხვა ვიწრო სპეციალისტთა მოზიდვას, არც ძვირადღირებულ სამედიცინო პრეპარატებსა და სადიაგნოსტიკო აპარატურას და არც უსაშველოდ დიდ მატერიალურ ბაზას. სამაგიეროდ, მოითხოვს კვალიფიციურ ცოდნას, გამოცდილებას და თავდადებულ შრომას.

დღეს ჩვენი ქვეყანა, უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, აღმშენებლობის გზას ადგას და ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი მონაპოვარი, შეძლებისდაგვარად განვავითაროთ და სრულვყოთ იგი.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. თბილისში, ქავთარაძის № 16-ში, მე-2 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ბაზაზე, კლინიკა „უნიკალში“ გაიხსნა ფუნქციური მოშლილობების სამკურნალო განყოფილება, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ იდეებსა და პრინციპებზე. უფრო მეტიც; მეცნიერული პროგრესის ფეხდაფეხ, მნიშვნელოვნად გამდიდრებულია და სრულყოფილი სამკურნალო არსენალი. ოპტიმალურად არის შერჩეული ულტრათანამედროვე, უნიკალური ფსიქოთერაპიული, ნეიროთერაპიული, რეფლექსოთერაპიული და ფიზიოთერაპიული ტექნოლოგიები: კომპიუტერული ნეიროსტრუქტურული მოდიფიკაცია, ერიქსონული ტრანსი. ქოლორლაიტინგი, ტრეგერინგი, ესტონპატერნინგი, ჰოლოტროპული სუნთქვა და სხვა. გამოცდილი სპეციალისტები ორგანიზმის ფუნქციონირების ყველა დონეზე კომპლექსური ზემოქმედებით აღწევენ სწრაფ და მყარ თერაპიულ ეფექტს, რადგანაც ახალი სახელმწიფოს შენებას სჭირდება ჯანსაღი, სულიერად ძლიერი, ლაღი და ოპტიმისტი ადამიანები, ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა აღორძინონ და შეუნარჩუნონ ქვეყანას მედიცინის ამ დარგში მოპოვებული პრიორიტეტი მთელს მსოფლიოში.

ზ. ბებერაშვილი,
დ. გიგაური,
ი. კახიანი,
ფუნქციურ მოშლილობათა სამკურნალო განყოფილების თანამშრომლები.

ორი ჯილდო მოიპოვეს

ფინეთის ქალაქ ტურკუში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდული (1974-1975 წლებში დაბადებული) ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ქართველმა სპორტსმენებმა ორი ჯილდო მოიპოვეს. გაიმარჯვა გარდაბნელმა თამაზ [illegible]ულაშვილმა, რომელიც 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა გორელმა დავით პოლოსიანმა (62 კილოგრამამდე).

●

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები

გორელმა მოკრივემ ილია ტლაშაძემ (71 კილოგრამამდე) საპატიო საერთაშორისო ახალგაზრდული (1976-1977 წლებში დაბადებული) ვერცხლის ჯილდო მოიპოვა „შავი ზღვის თასის“ ტურნირში, ხოლო ქუთაისელმა არაკლი ფხაკაძემ (81 კილოგრამამდე) ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა სევასტოპოლში 11 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის.

საწარმო არემონტებს რადიოსადგურებს, რაციებს, რადიომიმღებ-გადამცემ მოწყობილობას და ადგილზე ამონტაჟებს დამკვეთის მოთხოვნით. ტელ:99-84-18

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესსამსახურის განცხადება

1994 წლის 16 აგვისტოს დილის 11 საათზე რესპუბლიკის პროკურატურის სხდომათა დარბაზში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი **ჯამლეთ ბაბილაშვილი** მართავს პრესკონფერენციას თემაზე **„რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო სისტემაში დანაშაულებრივ დარღვევათა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ“.**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მიიღონ მონაწილეობა.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა 24, ტელეფონები: 98-21-60; 98-29-68; 98-21-94.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესსამსახური.

იოსებ მჭედლიშვილი



საქართველოს ადვოკატთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი იურისტი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი იოსებ (ოსიკო) დავითის ძე მჭედლიშვილი.

ი. მჭედლიშვილი დაიბადა ქალაქ თბილისში 1907 წელს. იგი მუშაობდა თბილისის ალმასკომში შრომისა და კადრების განყოფილების სექტორის გამგედ, შემდეგ რესპუბლიკის ჯანდაცვის კომისარიატის კადრების განყოფილების უფროს ინსპექტორად. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ი. მჭედლიშვილი ადვოკატთა კოლეგიის წევრია და 32 წლის ადამიანთა სამართლებრივი კანონიერების დაცვის საქმეს ემსახურა. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ი. მჭედლიშვილი მთელი თავისი ცხოვრებით სანიმუშო, მისაბაძი ადამიანი, კარგი მეოჯახე, იდეალური მეუღლე, ყურადღებიანი, მზრუნველი მამა და ბაბუა იყო.

წავიდა ჩვენგან ძირძველი სტუმართმოყვარე თბილისელი, კეთილშობილი ადამიანი. იოსებ მჭედლიშვილის სახელი მარად დარჩება მისი შთამომავლების და მეგობრების გულში.

ვაკის რაიონის იურიდიული კონსულტაციის თანამშრომლები.

ნუკრი ლორია

ოცდათვრამეტი წლის ასაკში შეწყდა **ნუკრი ჟორჟიკას ძე ლორიას** მაჯისცემა. მისი სიკვდილით პროკურატურის ორგანოებმა დაკარგეს ჩინებული პროფესიონალი, ხოლო ქუთაისის საზოგადოებამ — შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი.

შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო. იყო სხვადასხვა რიგის სამუშაოზე. ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია, სადაც განვლო გზა სპეცკომენდატურის უფროსის მორიგე თანაშემწიდან ამავე სამინისტროს ქვეგანყოფილების უფროსამდე. შემდეგ იმუშავა პარტიის ქუთაისის ქალაქკომში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგის მოადგილედ.

მისი ენერგია, ალღო და პროფესიონალის უნარი განსაკუთრებით გამოვლინდა პროკურატურის ორგანოებში. იმუშავა ქალაქ ქუთაისის პროკურორის თანაშემწედ, განყოფილების უფროს პროკურორად და ყველგან გამოირჩეოდა ობიექტურობით, კაცთმოყვარეობით. მაგრამ სწორედ აქ მოუსწრო სიკვდილმა, მძიმე და უკურნებელი სენი ვეღარ დაძლია მისმა მძლავრმა ორგანიზმმაც კი.

კოლეგები, მეგობრები და ახლობლები არასოდეს დაივიწყებენ ნუკრი ლორიას ნათელ პიროვნებას, რომლის კვალზე აღიზრდება მისი ქალ-ვაჟი, მათ ბოლო წუთებამდე არ სჯეროდათ, თუ სიკვდილი ასე გასწირავდა ადამიანს, რომელიც ქვეყანაზე მხოლოდ სიკეთეს თესავდა.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა.

გივი ინაშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი გივი ილიას ძე ინაშვილი.

დაიბადა 1940 წელს. განვლო ნაყოფიერი შრომითი გზა ელექტრომექანიკოსიდან დოცენტამდე. იგი მთელი თავისი შეგნებითა და სიყვარულით ემსახურებოდა ინჟინერ-ელექტრიკოსების აღზრდის საპატიო საქმეს. მის კალამს ეკუთვნის 30-მდე სამეცნიერო შრომა და საავტორო მოწმობა, მრავალი მეთოდური მითითება ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად.

წავიდა ჩვენგან საუკეთესო მეგობარი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე. თუ ბატონ გივის რაიმე სიმდიდრე დარჩა ამ ქვეყანაზე, ეს უპირველეს ყოვლისა მისი სულის სიწმინდე და კაცური კაცის უსპეტაკესი ნაკვალევია ცხოვრების გზაზე.

კოლეგები, მეგობრები და მრავალრიცხოვანი სტუდენტები მწვავედ განიცდიან მის გარდაცვალებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ენერგეტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის კათედრა.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდია და ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეროვნული გვარდიის ოფიცერი, კაპიტანი

იოსებ (სოსო) გოჩას ძე საგანელიძე

სოსო საგანელიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის თანამებრძოლთა გულებში. პანაშვიდი 12.VIII, 16 საათზე, ფონიჭალა, III, მე-10 კორპუსი, VIII სართული, II სადარბაზო. გამოსვენება ქაშუეთის ტაძრიდან 13.VIII, 14 საათზე.

ეროვნული გვარდიის საპატიო უფროსი, გვარდიის ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, დეპუტატი
თ. კიტოვანი

ცნობილი იტალიური კომპანია „მასერვისი“ (ქალაქი მოსკოვი) შეისყიდის თხილს დიდი პარტიებით

თხილის შესყიდვისთვის სათანამშრომლოდ ვიწვევთ საქართველოს რესპუბლიკის მეწარმეებს.

მზად ვართ შევისყიდოთ შარშანდელი, 1993 წლისა და წლევანდელი მოსავლის თხილი. ამას გარდა, დავდოთ გაისის, 1995 წლის მოსავლის შესყიდვის ხელშეკრულება.

ჩვენი მოთხოვნა პროდუქციის ხარისხისადმი ასეთია:

ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 6 პროცენტს, საქონლის არაკონდიციური ნაწილი – 4 პროცენტს.

ფასები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო შესასყიდ ფასებს.

მომხმარებლისთვის პროდუქციის გადასაზიდი ტრანსპორტის სახეობაზე, გადატვირთვის ადგილსა და ღირებულების გადახდის ფორმებზე დამატებით შევთანხმდებით.

ჩვენი ტელეფონები მოსკოვში:
(095) 155-46-00 და 155-4351
ფაქსი (095) 151-06-52.

გვესაჭიროება თურქული ენის მცოდნე მდივანი.
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-44-71.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგბიაშვილი.
ინდექსი 66434